2003 ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული

სპორტული გაზეთი ორშაბათი 2 აგვისტო 2004 №176 (2197) ფასი 50 თეთრი

ნეტარი და მორწმუნე ქირესი საქართველოში ფეხბურთელებს ეძებს



ბორპედო — ლოკომოტივი 2:0.
თბილისელთა მეკარემ ზურაბ ბათიაშვილმა ქუთაისიდან ორი გაშვებულის დარდი წამოიღო

დილა — ბათუმი 0:1.
ბათუმელი ირაკლი შენგელია (№7) შეცვლაზე შევიდა და გორელთა კარში ბურთიც შევიდა

უეფას თასი 2004-2005
მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი

UEFA CUP

დინამო — სლავია

ცაპლარი ნერვიულობს!

უფულობაზე არა, დინამოზე

უეფას თასის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე „დინამოს“ მეტოქის, პრაღის „სლავიას“ მწვრთნელი იოჟეფ ცაპლარი თბილისში ორი წლის წინ არის ნამყოფი და 26 აგვისტოს ისევ მოუნევს ჩვენთან სტუმრობა.

ცაპლარი ჩეხური „ლიბერეცის“ მწვრთნელის თანაშემწის რანგში იყო თბილისში ჩამოსული, ახლა კი „დინამოსთან“ სათამაშოდ გუნდს თავად ჩამოუძღვება.

და ვიდრე „სლავია“ — „დინამოს“ ორრაუნდიანი ბრძოლა გაჩაღდება, იოჟეფ ცაპლარს პრაღაში დავუკავშირდით და სამომავლო დაპირისპირებაზე ვესაუბრეთ

— უკმაყოფილო ვარ კენჭისყრის შედეგით, ხომ შეიძლებოდა, თბილისის „დინამოს“ გარდა განუთესავთაგან სხვა, ნებისმიერი გუნდი შეგვხვედროდა?! „დინამოს“ ძალა ორი წლის წინ საკუთარ თავზე გამოვცადე „ლიბერეცისა“ და „დინამოს“ მატჩები თუ გახსოვთ? — პირველად აქეთ გვკითხა იოჟეფ ცაპლარმა.

— გვახსოვს, რა თქმა უნდა...

— აი, მაშინ, როცა „ლიბერეცმა“ „დინამო“ ბევრი ნერვიულობის ფასად დაამარცხა, „ლიბერეცის“ მწვრთნელის ვლადისლავ შკორპილის თანაშემწე ვიყავი. არ დაგიმალავთ, მაშინ პირველი თამაშის მერე თბილისში მე პირადად უიმედოდ მოვდიოდი. ვფიქრობდი, რომ „ლიბერეცი“ „დინამოსთან“ წააგებდა, ჩვენ ხომ 3:2 გვქონდა მოგებული და სიპასუხო მატჩში თბილისელებისთვის მინიმალური ანგარიშით გამარჯვებაც საკმარისი იქნებოდა. მაგრამ, გადავრჩით...

— თავმდაბლობა რა საჭიროა...

— როგორც ვნებავთ, ისე ჩათვალეთ. ვამბობ, რომ ორი წლის წინ თბილისის „დინამომ“ ძალიან გვანერვიულა.

— ახლაც ნერვიულობთ?

— ჯერ არა. მატჩი რომ მოახლოვდება, რა თქმა უნდა, სანერვიულოც მომემატება.

— ამჟამინდელ „დინამოზე“ რა ინფორმაცია გაქვთ?

— არანაირი. ინფორმაციის შეგროვებას ახლა ვიწყებთ.

— როგორ უნდა შეაგროვოთ ინფორმაცია?

— პრესით, ინტერნეტით... ვიმედოვნებ, „დინამოსთან“ ჩვენი უახლოესი მატჩების ფირებს გავცვლით. მომავალ კვირაში კი თბილისში „სლავიას“ წარმომადგენლები ჩამოვლენ, ჩემპიონატის მატჩს დაესწრებიან და „დინამოზე“ დამატებით ინფორმაციასაც ჩამომიტანენ.

— „სლავიაში“ როგორაა საქმეები? მართალია, რომ კლუბში სამი თვეა, ხელფასები არ დარიგებულა?

— მოდით, ფინანსურ ამბებს ნუ მკითხავთ. კლუბის მენეჯერს დაურეკეთ და ეს კითხვა მას დაუსვით.

— ჩვენ ის გვაინტერესებს, უხელფასობა „სლავიას“ თამაშზე ხომ არ აისახება?

— არა, არ აისახება. ჩვენ მაინც ჩვენს ფეხბურთს ვითამაშებთ.

— ამ ზაფხულში „სლავიაში“ რა შეიცვალა?

— რას გულისხმობთ?

— შემადგენლობას...

— უფრო დავსუსტდით, ვიდრე გავძლიერდით. კლუბიდან სამი წამყვანი ფეხბურთელი წავიდა, ბრაზილიელი ადაუტო კი ტრავმის გამო გაზაფხულიდან ვერ თამაშობს და ახლაც მკურნალობს. დამატებით კი მხოლოდ ერთი ფეხბურთელი — ჰოლენკი დაგვემატა.

— გამოდის, რომ ფინანსურად მართლაც გიჭირთ.

— არ ვიცი.

— წლეულს „სლავიას“ რა გეგმები აქვს?

— შემოდგომაზე უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზე უნდა ვითამაშოთ, მერე კი შინაურ ჩემპიონატს უნდა მივხედოთ და ან ჩემპიონთა ლიგის, ან უეფას თასის საგზური მოვიპოვოთ.

— არ გაგიჭირდებათ?

— ენახოთ, უნდა ვეცადოთ.

— და კიდევ: არ თვლით, რომ „სლავია“ — „დინამოს“ წყვილში ფავორიტი თქვენი გუნდია?

— ასე არ ვფიქრობ, პირველ მატჩამდე შანსები აბსოლუტურად თანაბარია.

ქობა ინასარიძე

თბილისი — ლეგია

ბრძოლითა შენითა...

მამია წინასწარმეტყველი: თბილისს ლეგიას დამარცხების შანსი აქვს

პოლონური პლოცკის „ვისლაში“ ახლახან „ამიკადან“ გადასული ქართველი ნახევარმცველის მამია ჯიქიას სიტყვები „ვიტ ჯორჯია“ — „ვისლას“ სალიგო დაპირისპირებაზე ისე ახდა, როგორც ბიბლიური წინასწარმეტყველისა. მამუკას ერთი ანგარიში არ უთქვამს, თორემ „ვისლა“ რომ „ვიტ ჯორჯიას“ გადათელავდა, პირდაპირაც თქვა და გადაკვრითაც.

ახლა მეორე ქართულ კლუბს, „თბილისს“ ჰყავს მეტოქედ მეორე პოლონური გუნდი — ვარშავის „ლეგია“. ეს მატჩები საუეფასთასოა, თუმც ამას რა არსებითი მნიშვნელობა აქვს. მნიშვნელობა და ფასი უკვე მამია ჯიქიას წინასწარმეტყველებას დაედო.

რას ფიქრობს „ლეგია“ — „თბილისის“ სამომავლო ჯახზე პლოცკის „ვისლას“ ქართველი ლეგიონერი? რა გუნდია „ლეგია“? რა შანსი აქვს „თბილისს“? „ვისლასგან“ განსხვავებით, მამია ჯიქიას „ლეგია“ ეიოლება, ეს კი იმას ნიშნავს, რომ „თბილისს“ პოლონელთა ძლევა შეეძლება

— „ლეგია“ „ვისლა“ არაა და ამ ორი კლუბის ერთმანეთთან შედარებაც არ იქნება. „ვისლა“ „ლეგიაზე“ გაცილებით სოლიდური, გაცილებით მაღალი დონის ფეხბურთელებით დაკომპლექტებული გუნდია, რომელმაც შარშან ევროპული ფეხბურთის რამდენიმე გრანდი დაამარცხა და ამიტომაც ვთქვი, „ვისლასთან“ „ვიტ ჯორჯიას“ მოგების შანსიც არ აქვს-მეთქი — გვითხრა მამია ჯიქიამ — „ლეგიას“ გამოკვეთილი ლიდერი არ ჰყავს, ვარშაველები უფრო გუნდური თამაშით გამოირჩევიან და ყოველ მატჩში კბილებით იბრძვიან. თბილისელებმა თუ ვარშაველებთან ერთი-ერთზე ბრძოლა არ წააგეს და ასევე კბილებით ითამაშეს, ალბათ მოუგებენ. „ლეგიას“ ტექნიკურობაზე სიტყვაც არ ითქმის, ამ გუნდის კოზირი ბრძოლაა. თუ ამ კომპონენტში ვარშაველებს არ დაეჩაგვრინე, წარმატების კარგი შანსი გაქვს...

— „ვიტ ჯორჯია“ — „ვისლაზე“ თქვი, ქართველებს მოგების შანსი არ აქვთო. ახლა სხვას ამბობ და, ჩავთვალოთ, რომ „თბილის“ — „ლეგიას“ შორის ფავორიტები ჩვენები არიან?

— არა, ფავორიტად მაინც „ლეგიას“ ვთვლი და ამას ეროვნული ჩემპიონატების დონის გათვალისწინებით ვამბობ. დამეთანხმებით, პოლონეთის ჩემპიონატი საქართველოზე მაღალი დონისაა.

— კი მაგრამ, „თბილისიც“ ხომ საქართველოს ჩემპიონატში თამაშობს? თუ „ვიტ ჯორჯია“ „ვისლასთან“ უშანსოდ იყო...

— ეგრეა, მაგრამ აკი გითხარით, „ლეგია“ „ვისლა“ არ არის და მათი შედარებაც არ შეიძლება. თანაც ვიცი, რომ „თბილისი“ კარგი, ტექნიკური და მოძრავი გუნდია. „ლეგია“ კი ბოლო ორ-სამი სეზონია, ევროსარბიელზე არაფრით გამოირჩევა. ეს ისეთი გუნდი არაა, მეტოქეს რომ გადაუაროს. მაგალითად, „ლეგიას“ ახლა „დინამო“ რომ ეთამაშებოდეს, ვიტყოდი, ფავორიტები თბილისელები არიან-მეთქი, მაგრამ „თბილისს“ არ ვიცნობ და ამიტომაც უფრო თავშეკავებული ვარ.

— რომ მოუგო, როგორ უნდა ეთამაშო „ლეგიას“?

— იმას გავიმეორებ, რაც ვთქვი: პირველ ყოვლისა, ბრძოლაში უნდა დაჩაგრო. ეს თუ მოახერხე, მერე ქართულ გუნდს ტექნიკაში „ლეგია“ ვერ შეედრება და მოგებასთან ახლოს იქნები. ისიცაა, რომ „ლეგია“ სათამაშო დისცლიპლინას იშვიათად არღვევს და ამ მხრივ კარგად ორგანიზებული გუნდია.

— და მაინც, ვარშაველთაგან ვინ გამოირჩევა?

— იაცეკ ზიელინსკია „ლეგიას“ ლიდერიც და სიმბოლოც. 35 წლისაა და ყველასგან პატივცემული ფეხბურთელია. დაცვის ცენტრში მას კონკურენტი არ ჰყავს. თუმც მგონია, რომ „თბილისთან“ ვერ ითამაშებს, აქილევსის მყესები აქვს გაწყვეტილი და საოპერაციოა. მისი არყოფნა „ლეგიასთვის“ დიდი დანაკლისი იქნება. შუა ხაზში გამოირჩევა ლუკაშ სურმა. ის იშვიათად უტევს, მაგრამ ყოჩაღია დაცვითი ფუნქციების შესრულებისას. თავდასხმაში კი საგანოვსკი და ვლოდარჩიკი თამაშობენ. ვერ ვიტყვი, რომ შეუჩერებელი ფორვარდები არიან. ისინი თავიანთ საქმეს საკარიმოში, კარის სიახლოვეს აკეთებენ, მოქნილობის ხარჯზე გააქვთ გოლები, არეულობით სარგებლობენ. საჯარიმოს გარეთ კი არაფრით გამოირჩევიან. თუ მჭიდროდ ეთამაშე, თამაშიდან იოლად გათიშავ.

— პოლონურ გაზეთებში „ლეგია“ — „თბილისის“ მეტოქეობაზე რა დაიწერა?

— თითქმის არაფერი, გაკვრით იყო ნახსენები კენჭისყრის ამბავი. პოლონეთში ჩემპიონატი დაიწყო და ყველა გაზეთი ამაზე წერდა. ორშაბათ-სამშაბათს კი ალბათ „ლეგია“ — „თბილისზეც“ იტყვიან.

— „ვიტ ჯორჯია“ — „ვისლაზე“ რაღა თქვეს?

— დაიწერა, რომ უბრძოლველად, ძალიან იოლად მოიგო „ვისლამ“, ნამეტანი სუსტი ყოფილა „ვიტ ჯორჯია“. მწვრთნელმა თქვა, მოგებას კი ველოდი, მაგრამ ასეთ ანგარიშს ვერ წარმოვიდგენდიო. მოკლედ, კმაყოფილები არიან, მაგრამ შემდეგ ეტაპზე „რეალის“ მეტოქეობა აღარ ესიამოვნათ.

ქობა ინასარიძე

დანია

სუპერლიგა. I ტური

ვიდბიულანდი 2:1 ოდენსე
ალბორგი 0:1 ჰერფოლგე
სილკებორგი 3:1 ორჰუსი
ოლბორგი 2:0 ნორდსიელანდი
ბრონდბიუ 2:0 ვიბორგი
კოპენჰაგენი 2:2 ესბიერგი

I დივიზიონი. I ტური

ჰელერუპი — ნიკიობინგი 1:1; სკიოლდი — ფრემადი 1:0; ფრემი — დალუმი 2:0; იოლსტიკე — ჰორსენსი 0:3; კიოგე — ბ-93 4:4; ნესტვედი — ვაილე 1:4; სიონდერიულანდი — აკადემისკი 2:4; ფრედერისია — ნორდიულანდი 7:0

უკვეიეთი

ალსვენსკა. XIV ტური

კალმარი 1:1 იურგორდენი
იორეებრო 1:0 იორგრიტე
აიკ 0:2 მალმიო

სუპერეტა. XVII ტური

ბოდენსი — ნორჩიოპინგი 0:3; ფრისკა — გეფლე 0:0; ასირისკა — ვასტერასი 3:1; ატვიდაბერგი — კაფე ოპერა 3:1; ბრომაპოიკარნა — ფალკენბერგი 0:1; ბრაგე — გაის 0:1; ეფიოპინგი — ფრიოლუნდა 1:1; ჰეკენი — იოსტერსი 0:0

ნორვეგია

ტიპელიგა. XVI ტური

ლინი 2:2 ოდ გრენლანდი
ლილესტრიომი 2:2 ტრომსიო
ბოდიო გლიმტი 3:1 სოგნდალი
სტაბეკი 1:1 ჰამ კამი
ფრედრიკსტადი 2:1 მიოლდე
ვიკინგი 1:1 რუსენბორგი

ფინეთი

ვეიკაუსლიგა. XVII ტური

ინტერი 0:1 მიუპა
ალიანსი 0:0 ტურკუ
ჰაამეენლინა 2:2 ჯაზი
როვანიემი 2:0 ტამპერე

უკრაინა

პრემიერლიგა. IV ტური

კრივბასი 1:0 ვორსკლა
მეტალისტი 3:1 ბორისფენი
ზაპარპატია 0:0 დნიპრო
ოგოლონი 0:0 მეტალურგი (ზ)
ვოლინი 1:0 ჩერნომორეცი
ტავრია 1:1 არსენალი
შახტარი 3:0 მეტალურგი (დ)

ბრაზილია

სერია A. XX ტური

ატლ. პარანენსე — გრემიო 0:0; ფლუმინენსე — კრუზეირო 0:0; კორინთიანსი — სან კეტანო 2:0; კრისიუმა — პონტე პრეტა 3:1; ფლამენგო — პალმეირასი 0:1; ატლ. მინეირო — ფიგეირენსე 3:1; ფლენენტუდე — ვასკუ და გამა 1:1; სანტოსი — პაისანდუ 6:0; ვიტორია — კურიტიბა 2:2; გოიასი — პარანა 3:0; გუარანი — ბოტაფოგო 0:2; ინტერნასიონალი — სან პაულუ 1:1

ამსანაგური მატჩები

ტოკიო ვერდი 0:4 რეალი
კაშიმა 0:5 ბარსელონა
ნიიგატა 5:2 ვალენსია
ჰერტა 3:1 ბეშიქთაში
ბოლტონი 0:1 ინტერი
რივერ პლეიტი 1:0 პანათინაიკოსი
აიაქსი 0:0 არსენალი
ფეიენოორდი 0:0(პენ.7:8)რეინჯერსი
ნიუკასლი 0:1 სპორტინგი
პორტუ 1:2 გალათასარაი
ფენერბაჰჩე 2:0 იუვენტუსი

რეკლამა სარბიელ-ში

Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 94 33 80

საქართველოს ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა 16 ტური 1 ტური

გულს გაუფრთხილდი, ოთარ!
ურჩევს ჭირესი გაბელიას



გია ამირანაშვილი ქუთაისიდან

„ტორპედო“ ისე შეხვდა ჩემპიონატის დაწყებას, შეკრების მოწყობა საკუთარ ბაზაზეც ვერ მოახერხა. თანაც ფინანსური პრობლემების გამო საჭირო ფეხბურთელებიც ვერ დაიმატა. „ლოკომოტივმა“ კი ახალი პატრონი გაიჩინა, უცხოური შეკრებაც გაიარა და რამდენიმე გამოცდილი მოთამაშეც დაიმატა.

მასპინძლები 4-5-1 სისტემით განლაგდნენ. დაცვაში გამეზარდაშვილი-თოდუა-ებრალიძე-მემარნიშვილი, ცენტრში საყრდენებად ნერგაძე-ბოლქვაძე, ოდნავ წინ ბაბუნაშვილი, ფლანგებზე რევაზიშვილი და კოშკაძე; თავდასხმაში კი მეგრელაძე. რკინიგზელებმა 3-5-2 ტაქტიკური სქემა ირჩიეს. უკან გ. ონიანი-მახვილაძე-ბაქრაძე, საყრდენები ლაცაბიძე-სიჭინავა, გამთამაშებლად ჩხაიძე, ფლანგებზე რ. ონიანი და ქებაძე, წინ გაგუა-სირბილაძის დუეტი.

თამაში მასპინძელთა უპირატესობით დაიწყო და მე-10 წუთზე გოლიც გავიდა: მცველებთან ჭიდილში ბურთი მეგრელაძემ მიიღო და კოშკაძეს დაუგორა, რომელმაც საჯარიმოში არშესულმა ძლიერად დაარტყა. ბათიაშვილის ნახტომი ამაო იყო. დაწინაურების შემდეგ „ტორპედომ“ უკან დაიხია, წინ მარტო მეგრელაძე დარჩა, რომელიც ბევრს კი იბრძოდა, მაგრამ პარტნიორებისგან მხარდაჭერა აკლდა. სტუმრები სულ უფრო გააქტიურდნენ და ორჯერ საგოლე მომენტიც შექმნეს. სირბილაძემ ჯერ ფეხით, შემდეგ კი თავით სახიფათოდ დაარტყა, მაგრამ სტურუამ ორჯერვე იმარჯვა. უფრო ნაღდი შანსი გიორგი ონიანს ჰქონდა, თუმცა სტურუა მის ახლო თავურსაც გაუმკლავდა. მასპინძლები კონტრშეტევებით ცდილობდნენ თავისას, კოშკაძეს, რომელიც უდავოდ საუკეთესო იყო, სამჯერ ჰქონდა გატანის შანსი, მაგრამ ორჯერ ააცილა, ერთხელ კი ბათიაშვილმა ივარგა. შესვენების შემდეგ ზაურ სვანაძემ ორი მოთამაშე შეცვალა და შეტევა გააძლიერა. თბილისელები კი დომინირებდნენ, თუმცა რეალური საგოლე მომენტი მხოლოდ ერთხელ შექმნეს. ბოლოსკენ სირბილაძეს ახლოდან უნდა გაეტანა, მაგრამ ააცილა. მანამდე ლაცაბიძემ და ექსტორპედოელმა მახვილაძემ შორიდან სახიფათოდ გაისროლეს, თუმცა სტურუამ იყოჩაღა. იერიშებს მიძალებულ სტუმრებს კი 89-ე წუთზე კონტრშეტევა გაეპარათ. ბოლქვაძემ ჩხეტიანი მეკარესთან პირისპირ გაიყვანა და გაგამაც აუღელვებლად გადაატარა ბურთი ფეხებში ჩავარდნილ ბათიაშვილს.

ზაურ სვანაძე: წასაგები თამაში არ იყო. სამჯერ შეგვიტიეს და ორი გოლი მივიღეთ. ბავშვური შეცდომები იყო. სირბილაძეს კარგი მომენტები ჰქონდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ შეაგდო. ჩვენი მიზანი ხუთეულში მოხვედრაა. ჩემპიონატის ახალი სისტემა მომწონს, რადგან ბევრი თამაში გვიწევს.

ოთარ გაბელია: ძნელი თამაში იყო. ფრეზეც ყაბულს ვიქნებოდი, რადგან „ლოკომ“ უცხოური შეკრება გაიარა, თანაც რამდენიმე ისეთი ფეხბურთელი დაიმატა, რომლებიც ჩვენ გვინდოდა. ვიცოდი, რომ ფიზიკურად გვაჯობებდნენ, ამიტომ დაცვა ვითამაშეთ და გაამართლა. ჭელიძე ზაპოროჟიეს „მეტალურგში“ წავიდა და მის ნაცვლად კახა ებრალიძე მოვიყვანეთ, რომელიც ინგლისის ქვედა ლიგაში თამაშობდა, ბოლო ხანს კი „გურიაში“, მე მგონი, ურიგოდ არ გამოიყურებოდა.

ალან ჭირესი: ოთარ გაბელია ჩემი მეგობარია, თამაშის დროს ბევრს ნერვიულობს და გულს უნდა გაუფრთხილდეს. დღეს ორი თამაში იყო, ფოთში ვერ ვასწრებდი ჩასვლას, ამიტომ ქუთაისში ჩამოვედი. პირველი თამაში ყოველთვის ძნელია, ამიტომ სანახაობრივად ლამაზი შეხვედრა არ იყო. მე ყველას ვაკვირდები. მეკითხებიან, ვინ მოგეწონაო, მაგრამ ამას ვერ ვიტყვი. ბევრ თამაშს უნდა დავესწრო, რათა ყველა მოთამაშეზე მქონდეს ინფორმაცია. ამ ეტაპზე მეტს ვერაფერს გეტყვით.

ქუთაისი. 31 ივლისი. 18 საათი. ტორპედო. 2 000 (ტევადობა 20 000)

ტორპედო 2:0 ლოკომოტივი

1:0 კოშკაძე (10), 2:0 ჩხეტიანი (83)

ტორპედო	ლოკომოტივი
სტურუა, გამეზარდაშვილი, ს. თოდუა, ებრალიძე, მემარნიშვილი, რევაზიშვილი (მუმლაძე 75), ნერგაძე, ბაბუნაშვილი (ნადირაძე 90), ბოლქვაძე, მეგრელაძე (გ. ჩხეტიანი 69), კოშკაძე	ბათიაშვილი, გ. ონიანი, მახვილაძე, ბაქრაძე, ქებაძე, ლაცაბიძე, სიჭინავა (სანიკიძე 46), ლ. ჩხაიძე, გაგუა (კიკალიშვილი 46), სირბილაძე, რ. ონიანი
სათადარიგონი: გაბელია; ადუაშვილი, ლალაძე, დარსაძე	*სათადარიგონი:* გვარამაძე; კირვალიძე, დევიძე, სოსელია, ჟღენტი
მწვრთნელი: ოთარ გაბელია	მწვრთნელი: ზაურ სვანაძე

მსაჯები: ა. მეშკოვი; ზ. მენთეშაშვილი (ორივე თბილისი), ზ. ხუციშვილი (დმანისი); დ. სანაია (სოხუმი)

სფფ-ის ინსპექტორი: შ. ხინჩაგაშვილი

ქუთაისელთა ეული ფორვარდი გიორგი მეგრელაძე



ზურაბ ბათიაშვილმა ბურთს ორჯერ გააყოლა მწუხარე თვალი

ფოტო ალექსანდრე ბურჯანაძისა

გორელებმა გიორგი ჭელიძე შუაშიც მოიქციეს და საპენალტოდაც წააქციეს

ფოტო ალექსანდრე ბურჯანაძისა

გორელთა მეკარე თამაზ ილურიძემ თავის კართან ხანძარი ერთხელ კი ჩააქრო, გიორგი ჭელიძეს პენალტი აუღო, მაგრამ გოლი მაინც გაუშვა

ეროვნული ჩემპიონატი

ძველი აღარ გადაგორდა?

დილა შიგნითაც სარემონტოა და გარეთაც

გორი. 1 აგვისტო. 17 საათი. თენგიზ გურჯანაძე. 800 (ტევადობა 8 230)

დილა 0:1 ბათუმი

0:1 შენგელია (79)

ჭელიძემ ვერ გაიტანა პენალტი (41, მეკარე)

დილა: თ. ილურიძე, გ. ბალაშვილი, დ. ხანიშვილი, მგელაძე (ქარქუზაშვილი 44), ლომიძე, შატაკიშვილი (ჯობაძე 56), რაზმაძე, კ. ხანიშვილი, სულთანიშვილი (კურტანიძე 31), წუწუნავა, სამადაშვილი *სათადარიგონი:* მაისურაძე; შუბითიძე, ნადირაძე, მასურაშვილი **მწვრთნელი:** ზურაბ ხორგუაშვილი	**ბათუმი:** გრიშიკაშვილი, ექონია, გალოგრე, ბესიკ თედორაძე, ხუჯაძე, მახარაძე, ქაცარავა, მანჩხავა (ი. შენგელია 36), დარჩიძე (ღლონტი 40), ხომერიკი (ჩიკვილაძე 68), გ. ნოდ. ჭელიძე *სათადარიგონი:* ბალაძე, მალანია, რამიშვილი, ცანავა **მწვრთნელი:** ამირან გოგიტიძე

გაფრთხილება: დ. ხანიშვილი (29), ლომიძე (41), გალოგრე (64), ხუჯაძე (65), ჭელიძე (68)

მსაჯები: ლევან ფანიაშვილი; ზურაბ ჯვარიძე, მამუკა ურუშაძე; ალექსანდრე კრიჭაშვილი (ყველა თბილისი)

სფფ-ის ინსპექტორი: გ. ძამუკაშვილი

დავით ერაძე გორიდან

მე-16 ეროვნულ ჩემპიონატს გორის „დილა“ ძალიან დასუსტებული შეხვდა. ნამატჩევს ზურაბ ხორგუაშვილმა დაიწუწუნა კიდეც, ახალ გუნდს ვაკეთებთ, „დილა“ შვიდმა მოთამაშემ დატოვაო. შესუსტებული შემადგენლობით მოთამაშე გორელებმა კი გრიშიკაშვილი ორად-ორჯერ შეაწუხეს, ისიც მას შემდეგ, რაც უკანდასახევი აღარ ჰქონდათ და თამაშს აგებდნენ.

დაწყებიდან ათი წუთი მოედნის ცენტრში ბურთის თრევაში მიილია. მერე კი ბათუმელები პირველივე ტაიმში ვალდებულნი იყვნენ, საქმე მოემთავრებინათ, მაგრამ... მე-15 წუთზე ხელსაყრელი მომენტი ვერ გამოიყენა ხომერიკმა, დარტყმა არ გამოუვიდა. ამის მერე ივანე მახარაძეს მიეცა შანსი, მაგრამ ზღვისპირელთა კაპიტნის დარტყმული ილურიძემ მოიგერია. ალბათ სიცხისა გამო, მწვრთნელებმა პირველსავე ტაიმში ორ-ორ შეცვლას მიმართეს. შეცვლაზე შესული ბათუმელი ირაკლი შენგელია თამაშში აქტიურად ჩაერთო. მისი პირველივე გარღვევა საგოლე მომენტით დასრულდა, თუმცა ილურიძის კარის სიახლოვეს ბურთისთვის ფეხის დამხვედრებელი არავინ აღმოჩნდა.

მე-40 წუთზე გორელებმა დასარტყმელად მომზადებული ჭელიძე წააქციეს და ფანიაშვილმაც უყოყმანოდ დანიშნა პენალტი, რომლის დარტყმაც თავად დაზარალებულმა ითავა. ჭელიძემ აქცენტი დარტყმის ძალაზე გააკეთა და... ილურიძეს ვერ აჯობა. ტაიმის ბოლოს ისევ „ბათუმი“ აქტიურობდა და ღლონტს დროულად რომ დაერტყა, ეგებ ეხეირა კიდეც, მაგრამ მცველებმა არ აცალეს და ფანიაშვილმა პირველი ტაიმის დასრულებისა ჩასტვინა.

მეორე ნახევარში ერთობ გააქტიურებულმა გიორგი ნოდარის ძე ჭელიძემ ისეთი ბურთი ვერ გაიტანა, რომ ბათუმელები ცნობილი საფეხბურთო კანონით დასჯას იმსახურებდნენ. „თბილისიდან“ „ბათუმში“ გადაბარგებული ფორვარდი ილურიძის კარის სიახლოვეს სულ მარტო დარჩა, მაგრამ ისევ ძლიერად, მაგრამ გვარიანად უზუსტოდ დაარტყა.

მასპინძელთაგან ჯობაძე აქტიურობდა და თუ რამე სახეირო იქმნებოდა, მისი დამსახურება იყო. ერთხელაც წუწუნავა შეატოვა გრიშიკაშვილს, გოლი თითქოს გარდაუვალი ჩანდა, მაგრამ ცარიელ კარს და ბურთს ბათუმელი მცველები გადაეღობნენ.

66-ე წუთზე ჭელიძემ იმდღევანდელი ნავსის გატეხვა მოინდომა, თუმცა ილურიძეს, რომელიც იმ დღეს გორელებში საუკეთესო იყო, ვერც ამჯერად აჯობა, ზედმეტად იაქტიურა, მეკარეს ფეხი დააბიჯა და ყვითელი ბარათი მიიღო.

მატჩის ბედი კი ზემოთ ნახსენებმა იღბლიანმა შეცვლამ გადაწყვიტა. ირაკლი შენგელიამ სამი მცველი ჩამოიტოვა, „დილას“ საჯარიმოში შეაღწია და დაარტყა, ილურიძემ ამჯერადაც იმარჯვა, მაგრამ იმავ შენგელიას დამატებულთან ვერას გახდა — 0:1. ბათუმელებს გოლი ისე გაუხარდათ, რომ გუშინდელი დღის ყველაზე უიღბლო მოთამაშემ, გიორგი ჭელიძემ მატჩი თავშეხვეულმა და დასისხლიანებულმა ჩაამთავრა — გოლით აღფრთოვანებული თანაგუნდელს შუბლით დაეჯახა.

ქანცგაცლილ გორელებს საფინალო შტურმისთვის ძალა აღარ ეყოთ, ის კი არა, კინაღამ აქეთ გაუშვეს: 90-ე წუთზე ღლონტი შეეცადა, წინ გამოსული ილურიძისთვის ბურთი თავზე გადაეგდო, მაგრამ...

და ბოლოს: კარგია, რომ პროფლიგა უმაღლესი ლიგის კლუბებს პირობების გაუმჯობესებას ურჩევს და აძალებს, მაგრამ „დილას“ სტადიონი — გასახდელები, საპირფარეშოები და თავად მოედანი — რაც იყო, ისევ ის ანუ უხეირო დარჩა. გარდა ამისა, გორში ჯერაც არ იციან გუნდის პრეზიდენტის ასავალ-დასავალი.

ფოტო ალექსანდრე ბურჯანაძისა

ირაკლი შენგელიას (მარცხნივ) ერთადერთი გოლი

ჟირესი თვითონ არ ჩქარობს, ქართული ფეხბურთის აჩქარება უნდა

ფოტო ალექსანდრე ბურჯანაძისა

თბილისში ახლახან ჩამოსული საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი ალენ ჟირესი საქმიანობას საკმაოდ აქტიურად შეუდგა. მან ჯერ „დინამო“ — ბატე ნახა, უქმეებზე კი „ტორპედო“ — „ლოკომოტივი“ და „დილა“ — „ბათუმი“.

„დილა“ — „ბათუმის“ დასრულების შემდეგ კი ეს ბლიცინტერვიუც შედგა და კითხვაზე, როგორ მოეწონა ნანახი მატჩები, ჟირესმა კარგახნიანი პაუზის და ფიქრის შემდეგ გვიპასუხა...

— ნაჩქარევ დასკვნებს ნუ გავაკეთებთ, ეროვნული ჩემპიონატი ახლახან დაიწყო და გუნდების უმეტესობა ოპტიმალურ ფორმაში არ არის. ასეთ დროს, როგორც წესი, ძნელია მოძრაობა და ურთიერთგაგება. ნურც სიცხის ფაქტორს გამოვრიცხავთ. იმედს ვიტოვებ, რომ მომდევნო ტურებში თამაშის ხარისხი გაუმჯობესდება.

— ქართული გუნდები ისევ ნელა თამაშობენ...

— ესეც ჩემპიონატის დაწყებას დავაბრალოთ. გუნდები ალბათ მალე გაიუმჯობესებენ სათამაშო კონდიციებს და ტემპიც იმატებს. ყოველ შემთხვევაში, მე ამის სურვილი მაქვს — თანამედროვე ფეხბურთს ასე ნელა ხომ აღარავინ თამაშობს.

— შედარებით უკეთესი შთაბეჭდილება ალბათ თბილისის „დინამომ“ დატოვა ბატესთან მატჩში...

— დიახ, შედარებით. თუმცა ფეხბურთში თამაშს ფურცელზე და ცალკეული გვარებით არ იგებენ. „დინამოს“ წინა ჩემპიონატში ფურცელზე ანუ შემადგენლობით უკეთესი მდგომარეობა ჰქონდა, მაგრამ ჩემპიონი ვერ გახდა. ამის საუკეთესო მაგალითი ევროპის წლევანდელი ჩემპიონატია. ფეხბურთელთა გვარების ჩამონათვალით საბერძნეთის ნაკრებს ფავორიტად ვერავინ შერაცხავდა, თუმცა ბერძნებმა ევროპა მოიგეს.

— ესე იგი, ეროვნულ ჩემპიონატში ფეხბურთელთა ძიებას აგრძელებთ...

— აუცილებლად, ამის გარეშე შეუძლებელია.

— ნაკრების კანდიდატთა სიას როდის დაასახელებთ?

— ეს ჯერ ადრეა. დრო და საფიქრალი ჯერ კიდევ მაქვს.

დავით ერაძე

ფოთი. 31 ივლისი. 18 საათი. ფაზისი. 300 (ტევადობა 6 000)

კოლხეთი 1:2 ვიტ ჯორჯია

0:1 ინწკირველი (45), 0:2 მარცვალაძე (52), 1:2 ქუთათელაძე (55)

კოლხეთი: ქვაჩახია, ქუტიძე (კილასონია 46), ჭითანავა, გოროზია, აკობია, დ. ნარსია, ჯ. შალამბერიძე, კუნჭულია (ე. მარგალიტაძე 46), გ. თოდუა, ქუთათელაძე (თაყაძე 73), ძოძუაშვილი
სათადარიგონი: ჩემია; ხაფომია, ვართაგავა, ტყებუჩავა
მწვრთნელი: დავით მახარაძე

ვიტ ჯორჯია: ბედიაშვილი, დათუნაიშვილი, ინწკირველი, კობიაშვილი, იმედაშვილი, ლ. ნოზაძე, დიღმელაშვილი, გველესიანი, მალჩავა (ლ. კვარაცხელია 46), ვ. გოჩაშვილი (ებანოიძე 77), მარცვალაძე (ე. მერებაშვილი 89)
სათადარიგონი: მამარდაშვილი; კვახაძე, კუპრეიშვილი, სახოკია
მწვრთნელი: ვლადიმერ ხაჩიძე

გაფრთხილება: გოროზია (31), გველესიანი (82), ებანოიძე (86)

მსაჯები: მ. მაისურაძე (თბილისი); გ. ცირდავა (გულრიფში), მ. ელიკაშვილი (თბილისი); ბ. დოგრაშვილი (ქუთაისი)

სფფ-ის ინსპექტორი: ზ. პეტრიაშვილი

რეალური მიზეზი

ვიტ ჯორჯია რეალმა ჭამა

გოჩა ჯანაშია ფოთიდან

ვერ გეტყვით, სხვაგან როგორ, მაგრამ ფოთში ყოველგვარი ზეიმ-ცერემონიალის გარეშე შემოაბიჯა ახალმა ჩემპიონატმა. უფრო სწორად, შემოიპარა, რადგან მაყურებელმა ვერც ქალაქის ფეხბურთის ფედერაციის თავკაცის, ბორის ბარამიას მისასალმებელი სიტყვა მოისმინა და ეროვნული დროშაც უჰიმნოდ აღიმართა. მიზეზი ბანალური იყო: მატჩის დაწყებას წუთები აკლდა, „ფაზისს“ დენი რომ შეუწყდა.

ულიმდამო გახსნას კი შესაფერისი ბურთაობა მოჰყვა. ფოთში ცხელოდა, ჰაერი ჩახუთული იყო და იუნებ ამის ბრალიც გახლდათ ფეხბურთელთა სიზანტე, მაგრამ, მეორე მხრივ, სტუმრებს აშკარად ეტყობოდათ „ვისლასთან“ განცდილი კოშმარის კვალი, ხოლო „კოლხეთს“ სათანადო მოუმზადებლობა. თუ შედეგით ვიმსჯელებთ, ხაჩიძეს ვიტ-ჯორჯიული რედებიუტი წარმატებული გამოუვიდა, თუმც ამას ვერ ვიტყვით ვიტელთა თამაშის ხარისხზე. ნამატჩევს „ვიტ ჯორჯიას“ ახალმა თავკაცმა ყველაფერი „ვისლასთან“ მარცხს და მისგან გამოწვეულ შოკს დააბრალა. ისიც დასძინა, ასეთ პირობებში ფეხბურთელებს თამაშის ხარისხს ვერ მოვთხოვო.

პირველი ტაიმი ფრიად მოსაწყენი გახლდათ, ყურადღების ღირსი ეპიზოდი თითებზე ჩამოითვლებოდა. მათგან უფრო მწვავე ორი იყო, ორივე ტაიმის ბოლო წუთებზე. ჯერ შალამბერიძის პასს ძოძუაშვილი გამოეხმაურა და საჯარიმოში შეუსვლელად ძლიერად დაარტყა. ივარგა ბედიაშვილმა, აი, მის მოგერიებულზე ქუთათელაძემ კი — ვერა.

მაშინ, როცა შესვენებას წამები აკლდა, „ვიტ ჯორჯიამ“ კუთხური გაახერხა. მალიჩავამ ჩააწოდა, საჯარიმოში უმეთვალყურეო ინწკირველმა კი ბურთს მოხდენილი თავური შეაგება და 0:1.

მახარაძემ მეორე ტაიმი ორი ცვლილებით დაიწყო, მისი შეგირდებიც გააქტიურდნენ, მაგრამ ვიტელთა სწრაფმა პასუხმა კოლხებს ცივი წყალი გადაასხა. საჯარიმოს გვერდით ხაზთან იმედაშვილმა ჯარიმა მოინაგრა. კობიაშვილმა მოულოდნელად დიღმელაშვილს გაუგორა, რომელსაც ბურთი აეჭრა და საჯარიმოს რკალთან მყოფ კვარაცხელიას მიუვიდა. მოედანზე ახალშესულმა კი ისეთი დააქუხა, ქვაჩახიას კინალამ ხელები გადაუტეხა, კოლხთა მეკარემ ბურთი კი უკუაგდო, მაგრამ მახვილი კუთხიდან მარცვალაძის დამატებულს ვერაფერი მოუხერხა.

„კოლხეთმა“ სწრაფად, სამიოდ წუთში მოახერხა გონს მოსვლა და ერთის გაქვითვა. შალამბერიძემ მოედნის სიღრმიდან ქუთათელაძე მოძებნა და ზვიადმა ყველაფერი უნაკლოდ გააკეთა: ორ მცველს შუა მყოფმა შორეულ კუთხეში ზუსტად დაარტყა და ძელის დახმარებით გაიტანა კიდეც.

მასპინძლებს თითქოს თამაშის გადარჩენის შანსი ებოძათ, დროც საკმარისი იყო საამისოდ, მაგრამ ვიტელებმა თავი მშვიდად დაიცვეს და ერთხელ მარცვალაძეს ინტრიგის მთლად მოშთობაც მართებდა, თუმც პირისპირ შეყრილ ქვაჩახიას ბურთი ვერ აეცილა. მანამდე ჯ. ძოძუაშვილმა ბურთიანად საკმაოდ ბევრი ირბინა და საჯარიმოში შესვლისთანავე დარტყმაც მოახერხა, მაგრამ არაქათგამოცლილს სიზუსტემ უმტყუნა.

ბოლო წუთებში კოლხებმა შტურმისმაგვარი მოაწყვეს და დაღლილ ვიტელთა კართან გვარიანად დაცხა. განსაკუთრებით მწვავე იყო ეპიზოდი დამატებულ დროში: კუთხურიდან ჩაწოდებულმა ბურთმა კარის გასწვრივ ისე გაიქროლა, პატრონი არავინ გამოუჩნდა.

ვლადიმერ ხაჩიძე: ჩვენთვის ძალიან ძნელი იყო „ვისლასთან“ მატჩის შემდეგ შოკიდან გამოსვლა. მე ჯერ კიდევ ვერ ვცნობ ბიჭებს. ასე ცუდად მათ პოლონელებთანაც არ უთამაშიათ. საბედნიეროდ, მოგება მოვახერხეთ. თანაბარი თამაში იყო და ალბათ გაგვიმართლა. ხარისხს კი ჯერ ვერ მოვთხოვ ფეხბურთელებს, ჯერ ხომ სეზონის დასაწყისია. ძალიან იმოქმედა აგრეთვე „რეალის“ ფაქტორმაც. როცა ბიჭებმა გაიგეს, რომ თურმე ესპანური გრანდი გვიწევდა, სულ გადარიენენ, მაგრამ უკვე გვიანაა.

ეს ერთხელ უკვე იყო: ვლადიმერ ხაჩიძე და „ვიტ ჯორჯია“

ბაჩანა ბერიძის ფოტო

დავით მახარაძე: მიუხედავად ჩემპიონთა ლიგაში განცდილი მარცხისა, „ვიტ ჯორჯია“ მაინც ძლიერი გუნდია. სიცხემ თავისი კორექტივები შეიტანა თამაშში, მაგრამ ბიჭებით მაინც კმაყოფილი ვარ. ორი შეცდომის შემდეგ მათ მაინც იბრძოლეს, მაგრამ არ გაუმართლათ. გუჩუას ტრანსფერი შეგვიგვიანეს, ხოლო ქობულაძეს ოჯახური მიზეზების გამო არ უთამაშია. მცირე ტრავმებიც გვაწუხებს.

სამი წლის წინ დინამოელმა კოკა მიკუჩაძემ ევროდებიუტი გოლით აღნიშნა — თბილისში ბატეს გაუტანა. ახლახან კი „თბილისის“ რიგებში კოკამ პირველად ითამაშა ევროსარბიელზე და ეს პირველიც გოლით გაილამაზა — „შამქირს“ ორჯერ გაუტანა

ძალიან კარგ დინამოსთან ძალიან დიდი შანსი გვაქვს

ლეგიასთან ჯიგარიც დაგვეხმარება



ბაჩანა ბერიძის ფოტო

კოკა მიკუჩაძის ორგოლიანი თბილისური ევროდებიუტი შამქირში

კოკა მიკუჩაძე:

— ევროტურნირზე სულ ორჯერ ითამაშე და ორჯერვე შედეგიანად — ეს მხოლოდ დამთხვევაა?

— „შამქირთან“ ძალიან მონდომებული ვიყავი. სეზონისწინა შეკრებაზეც ძალიან ვცდილობდი, კარგ ფორმაში შევსულიყავი და ეროვნული ჩემპიონატისთვის კარგად ვარ მზად.

— სამი წლის წინ „დინამოში“ იყავი და იქიდან შარშანწინ წამოხვედი — როგორ შეიცვალა ამ პერიოდში ფეხბურთელი კოკა მიკუჩაძე?

— უფრო ჩამოყალიბებული ფეხბურთელი გავხდი, უკეთეს ფორმაშიც ვარ. წინა სეზონის მეორე ეტაპი ფაქტობრივად გამიცდა — „დინამოსთან“ ტრავმა მივიღე, ზეექვსეული თითქმის გამოვტოვე, ახლა კი ყველაფერი რიგზეა.

— ეროვნულ ჩემპიონატში „დინამო“ „თბილისის“ ერთ-ერთი უმთავრესი კონკურენტი იქნება — სამი წლის წინანდელ და ახლანდელ „დინამოს“ როგორ შეადარებდი?

— „დინამო“ ახლა უფრო უკეთესი გუნდია, ვიდრე სამი წლის წინ, მიუხედავად იმისა, რომ წინა სეზონის მეორე ეტაპისთვის „დინამო“ ბევრმა წამყვანმა ფეხბურთელმა დატოვა. ახლანდელ ძალიან მომწონს ჯაბა კანკავას თამაში.

— როცა დინამოელი იყავი, შენს ნაკლად სუსტ ფიზიკურ აღნაგობას მიიჩნევდნენ...

— ტრენაჟორებზე სისტემატურად ვვარჯიშობ და ისეთი სუსტი აღარ ვარ, როგორც ადრე — წონაში ოთხი კილოგრამი მოვიმატე და კუნთის მასის გაზრდის ხარჯზე კიდევ სამი კილოს მომატებაც შემიძლია.

— „დინამო“ შეაქე და, ასეთ კარგ გუნდთან ჩემპიონობისთვის ბრძოლაში „თბილისს“ რა შანსი აქვს?

— ასეთ კარგ „დინამოსთან“ ჩვენ ძალიან დიდი შანსი გვაქვს — „თბილისი“ ყველანაირად მზადაა ჩემპიონობისთვის. „დინამოს“ ჩვენზე ოდნავ მეტი გამოცდილება აქვს, მაგრამ ჩემპიონობისთვის გადამწყვეტი ფაქტორი მონდომება იქნება.

— სანამ ჩემპიონობისთვის გადამწყვეტი ბრძოლები დაიწყება, ჯერ უეფას თასის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი და პოლონური „ლეგია“ გელით...

— „ლეგია“ „ვისლაზე“ არანაკლები გუნდი უნდა იყოს, მაგრამ „ვისლამ“ „ვიტ ჯორჯიას“ 8:2 რომ მოუგო, ეს არ გვაშინებს — ხელს თუ ჩავიქნევთ, რა წინსვლაზეა ლაპარაკი. ევროტურნირზე უფრო მობილიზებულები გავდივართ სათამაშოდ, ვიდრე ეროვნულ ჩემპიონატში. ევროთამაშებზე სხვანაირი ჯიგრით ვთამაშობთ.

— „თბილისის“ წინა ხაზში შენს გარდა კიდევ ერთი ექსდინამოელია...

— ვფიქრობ, ჩემი ადგილი უკანდახეული ფორვარდის პოზიციაა, „დინამოშიც“ ამ პოზიციაზე ვთამაშობდი. მე და გიორგი მიქაძეც ჯერ კიდევ „დინამოში“ შევთამაშდით და ერთმანეთს კარგად რომ ვეწყობით, ეს ამ სეზონშიც გამოჩნდება.

დავით თავართქილაძე

შოთა ფორმაში კაპიტნობით შედის

დამდეგ უქმეებზე ბუნდესლიგაში და შოტლანდიურ პრემიერლიგაში ახალი სეზონი დაიწყება. გუნდებიც ბოლო ამხანაგურ მატჩებს თამაშობენ. იაშვილ-ცქიტიშვილის „ფრაიბურგმა“ და არველაძე-ხიზანიშვილის „რეინჯერსმაც“ მორიგი შეხვედრები გამართეს.

„ფრაიბურგმა“ შინ, კლუბის ერთ-ერთ მოედანზე უმასპინძლა ფრანგულ „სოშოს“. მატჩს 1200 მაყურებელი დაესწრო და 0:0 დამთავრდა. ალექსანდრე იაშვილმა და ლევან ცქიტიშვილმა შეხვედრა სრულად ითამაშეს.

ნიუკასლში კი ოთხთა ტურნირია. პირველ ტურში ბობი რობსონის გაწვრთნილმა „ნიუკასლმა“ „რეინჯერსს“ 4:2 მოუგო.

„სენტ ჯეიმს პარკზე“ „კაჭკაჭების“ და „ჩაფრების“ სანახავად ათეულობით ათასი ქომაგი შეიყარა. „რეინჯერსის“ ჰოლანდიელმა მცველმა ფერნანდო რიკსენმა ნიუკასლელი ფრანგი შუახაზელი ლორან რობერი წააქცია, ხოლო პენალტი ალან შირერმა გაიტანა. მეორე გოლი შტეფან კლოსის კარში უელსელმა კრეიგ ბელამიმ შეაგდო რვა იარდიდან. შემდეგ „ნიუკასლის“ კიდევ ერთი ფრანგი გამოირჩა — ოლივიე ბერნარმა შორიდან დააქუხა საგოლედ და 3:0. ტაიმის დამთავრებას წამებიღა აკლდა, როცა დადო პრსომ ერთი გოლი გაქვითა — 3:1.

შესვენების შემდეგ ალექს მაკლიშმა ზურაბ ხიზანიშვილი და შოთა არველაძე შეუშვა მინდორზე და მწვრთნელის შეცვლებმაც გაამართლა — „რეინჯერსის“ დაცვა უკეთ ათამაშდა, ხოლო არველაძემ საგოლე პასი უბოძა რიკსენს. მეორე ტაიმში გლაზგოელები მეტოქეზე უკეთ გამოიყურებოდნენ. მაგრამ მატჩის ბოლო წუთზე „ნიუკასლმა“ კონტრშეტევაზე ივარგა და კირონ დაიერმა ანგარიში 4:2 გახადა.

გუშინ, ნიუკასლური ტურნირის მეორე დღეს კი „რეინჯერსი“ ჰოლანდიურ „ფეიენოორდს“ გაეჯიბრა. არველაძემ და ხიზანიშვილმა თავიდანვე ითამაშეს. „რეინჯერსის“ კაპიტნის და ვიცე-კაპიტნის, შტეფან კლოსის და ალექს რაეს არყოფნაში კაპიტნის სამკლავური არველაძემ მოირგო, ვინც 75-ე წუთზე შეცვალეს — ოპერაციის შემდგომი ხუთთვიანი შესვენების შემდეგ შოთამ პირველად ითამაშა „რეინჯერსის“ სასტარტოში.

„რეინჯერს“ — „ფეიენოორდის“ ძირითადი დრო 0:0 დამთავრდა, მაგრამ პენალტების სერიაში, მიუხედავად იმისა, რომ ხიზანიშვილმა 11-მეტრიანი გააცუდა, „რეინჯერსმა“ იმარჯვა 8:7 და გუშინვე გლაზგოში დაბრუნდა.

დავით თავართქილაძე

ალან შირერმა „ჩაფრებს“ პენალტი შეუგდო

ჩეხური სტანდარტი

თბილისელები ტეპლიცეში ჩაიხუთნენ

ჩეხეთში მყოფმა „ამერმა“ შაბათს მეორე ამხანაგური მატჩი „ტეპლიცესთან“ გამართა და 0:5 წააგო. „ამერი“ ასეთი დიდი ანგარიშით აქამდე არასდროს დამარცხებულა, მეორე მხრივ, კი, ასეთი ძლიერი მეტოქეც არასდროს ჰყოლია — „ტეპლიცე“ გამბრინუსლიგის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია.

მატჩის მერე „ამერის“ მთავარმა მწვრთნელმა გიორგი ჩიხრაძემ თქვა: „ზოგადად, ამხანაგურ მატჩში დამარცხება საგანგაშო არ არის, მაგრამ წაგება, მით უმეტეს, ასეთი ანგარიშით, რა თქმა უნდა, გულდასაწყვეტია. ძალიან ძლიერი მეტოქე გვყავდა, მაგრამ მაინც ვფიქრობ, რომ უფრო ჩვენი შეცდომების გამო წავაგეთ და არა მეტოქის სიძლიერის გამო“.

ტეპლიცეს ულამაზეს „ნა სტინადლეხზე“ (ჩეხეთის ნაკრები ან პრაღის „ლეტნაზე“ თამაშობს-ხოლმე ან აქ, 38-ე წუთამდე, ანუ პირველ გოლამდე, მასპინძელთა მწვრთნელი ვლასტისლავ მარეჩეკი ადგილს ვერ პოულობდა — ათასამდე გულშემატკივრი დაბალი ლიგის ქართულ გუნდთან სწრაფ გოლს ითხოვდა, „ტეპლიცე“ კი ამ ხნის მანძილზე მხოლოდ ერთ სახიფათო მომენტს გამორჩა — რეზო ნაჭყეპიამ ახლოდან დარტყმული მოიგერია. საერთოდაც, მთელი მატჩის მანძილზე, სახიფათო ეპიზოდი რასაც ჰქვია, მასპინძლებმა სულ სამ-ოთხი გაახერხეს.

„ტეპლიცემ“ ხუთიდან ოთხი გოლი სტანდარტული სიტუაციებიდან გაიტანა. პირველი საჯარიმოს სიახლოვეს ჯარიმასავით ჩაწოდებული აუტით გავიდა, მიხაელ დოლეჟალის ღონივრად დარტყმული დავით მჭედლიშვილს მოხვდა და ძელიდან ასხლეტით კარში შეგორდა.

მეორე გოლი, პირველი ტაიმის ბოლო წუთზე, ჩასათვლელი არ იყო. „ამერის“ კარისკენ თავისუფალი დარტყმა დაინიშნა და იმავ დოლეჟალის დარტყმული ისე გავიდა, არავის შეხებია, პროტესტმა კი, ცხადია, არ გაჭრა.

ამ ორმა გოლმა „ტეპლიცე“ დაამშვიდა და მეორე ტაიმში გაცილებით თავდაჯერებულად ითამაშა. „ამერი“ კი ტაიმის ასე უიღბლოდ დასრულებამ დათრგუნა. მესამე გოლი 56-ეზე ჯარიმით გავიდა. ჩაწოდებულს პაველ კრმაშმა თავი დაუხვედრა, მეოთხე კი, 70-ე წუთზე, პაველ ველებამ შეაგდო. „ამერის“ მცველები ველებას ხელოვნურ თამაშგარეშე — ჩატიჟებას ელოდნენ — ბდნენ და არ გამოუვიდათ. ექვს წუთში ვლასტიმირ რიშკამ მეხუთე გაიტანა.

კიდევ აღსანიშნავია, რომ ჩემპიონატის დაწყების წინ ეს „ტეპლიცესთვის“ ბოლო საკონტროლო მატჩი იყო. ტეპლიცელებს ძალიან კორექტული გულშემატკივრები ჰყოლიათ — შეცვლილ ამერელებსაც ტაშით აცილებდნენ.

მომდევნო მატჩი „ამერს“ მეორე გამბრინუსლიგელ მოსტის „სეატ სოუშთან“ 3 აგვისტოს აქვს, შაბათს კი გუნდებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშეს:

ტეპლიცე: პოშტულკა, კაუფმანი (კალიდოვა 46), რადა, ტესაჟიკი (ფენინი 65), კრმაში, დიკეჩკი (კლეინი 46), დოლეჟალი (საბო 79), რიშკა, ჰუნალი, ბენატი (ვერბიჟი 46), მაშეკი (ველება 63)

ამერი: ნაჭყეპია, კედელაშვილი, ელბაქიძე, დავითნიძე (გვაცბია 85), ხვადაგიანი, მჭედლიშვილი (ნიკოლაიშვილი 85), კაიდარაშვილი (გარუჩავა 87), დეკანოსიძე (ბაკალავა 85), სილაგავა, დავითაშვილი (წინამძღვრიშვილი 81), სეკასტოპულო (ჩიმაკაძე 87)

გიორგი დარჯანია

„ამერის“ პრესამსახურის უფროსი



ალეკო გოგობერიშვილი ჯერაც უგუნდოდაა. მსურველები თითქოს არ აკლდა, მაგრამ ტრანსფერს ტრავმა აფერხებდა. ალეკოს იმ იმედით შევეხმიანეთ, რომ რაიმე ახალს შევიტყობდით და არც შევმცდარვართ...

გიორგი ჯულელიძის ფოტო

გოგობერიშვილმა ძველი ნაცნობობა გაიხსენა

— თითქოს უკეთ ვარ, მაგრამ ფეხის ტკივილი ბოლომდე დატვირთვის საშუალებას მაინც არ მაძლევს. აქილევსის მყესების ტრავმა ძალიან სპეციფიკურია.

— გავიგეთ, რომ თბილისურ კლუბებს „ლოკომოტივს“ და „ვიტ ჯორჯიას“ შენი გადაბირება სურთ?

— ორივე მხარეს ველაპარაკე და ალბათ „ვიტ ჯორჯიაში“ წავალ. ამ გუნდს უფრო კარგად ვიცნობ და ახალ სიტუაციასთან შეგუება არ გამიჭირდება. გადაჭრით ჯერ ვერ გეტყვით, მაგრამ „ვიტ ჯორჯიასთან“, ფაქტობრივად, ყველაფერი შეთანხმებულია.

— როდიდან შეძლებ ვეტერინარებთან ვარჯიშს?

— საწყისი ტურების მატჩებს გამოვტოვებ, თუმცა ათ-თორმეტ დღეში ვარჯიშსაც დავიწყებ და, იმედია, ფორმასაც მალე აღვიდგენ. კარგია, რომ ისევ ამბიციური გუნდის ვარიანტი გამოჩნდა, დასამტკიცებელი ბევრი მაქვს.

დავით ერაძე

ქფქლ

ქართულ ფეხბურთს ქომაგთა ლიგა გამოუჩნდა

ამ დღეებში ტოტალიზატორ „ინტერბეტ პლუსის“ დარბაზში გაიმართა ქართული ფეხბურთის ქომაგთა ლიგის დამფუძნებელთა კრება.

27-მა დამფუძნებელმა განიხილა და დაამტკიცა ქართული ფეხბურთის ქომაგთა ლიგის წესდება. სხდომამ ასევე აირჩია ქართული ფეხბურთის ქომაგთა ლიგის აღმასრულებელი კომიტეტი.

ქართული ფეხბურთის ქომაგთა ლიგა დღეს, 2 აგვისტოს, 15 საათზე გაზეთ „სპობოდნაია გრუზიას“ რედაქციაში (რუსთაველის 42, მეორე სართული) ატარებს პრეს-კონფერენციას, რომელზეც საუბარი იქნება ქომაგთა ლიგის მიზნებსა და ამოცანებზე.

ქართული ფეხბურთის ქომაგთა ლიგის პრესსამსახური

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ლიგის საინსპექტორო კომიტეტის თავმჯდომარის სერგო კოტრიკაძის ვაჟის

თემურ კოტრიკაძის

გარდაცვალების გამო

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია იუწყება, რომ გარდაიცვალა სერგო კოტრიკაძის ვაჟი

თემურ კოტრიკაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს

სარბიელელები სამძიმარს ვუცხადებთ სერგო კოტრიკაძეს ვაჟის

თემურ კოტრიკაძის

გარდაცვალების გამო

65 წლის ჯოვანი ტრაპატონიმ იტალიის ნაკრები მარჩელო ლიპის დაუთმო, მაგრამ თავადაც არ დარჩა უმუშევარი — ლისაბონის „ბენფიკა“ ჩაიბარა, რომელსაც მადრიდის „რეალში“ წასვლამდე ხოსე ანტონიო კამაჩო წვრთნიდა.

ჯოვანი ტრაპატონი „სკუადრა აძურას“ ოთხი წლის განმავლობაში თავკაცობდა. მას აქამდე მხოლოდ ერთ უცხოურ კლუბში, მიუნხენის „ბაიერნში“ უმუშავია, „ბენფიკა“ კი მეორე გახდა

მოხუცი ლიგაზე ფიქრობს

ტრაპატონი და დელ ნერი ეროვნულ ნაკრებს პორტუგალიისთვის იჭიდავებენ

„ნაკრებში გატარებული ოთხი წლის შემდეგ საკლუბო დონეზე დაბრუნება მსურდა, რადგან უფეხბურთოდ არ შემიძლია. „ბენფიკას“ გარდა სხვა ვარიანტებიც მქონდა, მაგრამ ლისაბონი ვარჩიე. ეს დიდი ტრადიციების გუნდია და უყოყმანოდ დავთანხმდი. კლუბში მუშაობა გაცილებით საინტერესოა, ფეხბურთელებთან ყოველდღიური ურთიერთობა გაქვს. მოთამაშეებთან სასაუბროდ მხოლოდ რამდენიმე დღე გეძლევა და ამ ვადაში უნდა ჩაეტიო“ — განაცხადა ტრაპატონიმ.

ხოსე ანტონიო კამაჩომ „პორტუს“ ბატონობა ვერ დაამხო, მაგრამ გუნდიდან ჟოზე მაურინიუს წასვლის შემდეგ 65 წლის იტალიელს ჩემპიონობის კარგი შანსი აქვს. უკვე ათი წელია, რაც „ბენფიკა“ „პორტუსა“ და „სპორტინგის“ ჩრდილშია და ჩემპიონი არ გამხდარა.

„პორტუგალიური ფეხბურთი სხვებისგან ძალიან განსხვავდება. აქ ღია ფეხბურთს თამაშობენ და კარგი გუნდის გაკეთებაც უფრო იაფი ჯდება, ვიდრე ბობოლა ევროპულ ქვეყნებში. აქაურობა ტექნიკური მოთამაშეებით სავსეა, მაგრამ ნაკლებად ბრძოლისუნარიანები არიან“ — აღნიშნა იტალიელმა.

ჯოვანი ტრაპატონი პორტუგალიაში არ მოიწყენს. „პორტუს“ მწვრთნელად ხომ „კიევოს“ ყოფილი თავკაცი ლუიჯი დელ ნერი დანიშნეს. თანამემამულეები პირველობისთვის იბრძოლებენ.

„ბენფიკა“ ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე ბელგიურ „ანდერლეხტს“ შეხვდება. „რა თქმა უნდა, ჩვენი მიზანი ლიგის ჯგუფში მოხვედრაა. თუ ეს შევძელით და წილისყრაში იღბალიც დაგვეხმარა, ეგებ ჯგუფიდან გასვლაზეც ვიფიქროთ“ — თქვა „ბენფიკას“ მხცოვანმა დამრიგებელმა.

ვაჟა ხუციშვილი

სტამს ცენტრი და ჭილდო უნდა

„მილანის“ ჰოლანდიელმა ლეგიონერმა იაპ სტამმა თქვა, რომ მომავალ სეზონში დაცვის ცენტრში სურს თამაში: „არ ვიცი, რას გადაწყვეტს კარლო ანჩელოტი, მაგრამ მე ცენტრში მირჩევნია. „ლაციოში“ მარჯვნივ ვთამაშობდი, თუმც სხვა პოზიციაც არაა ჩემთვის უცხო. საბოლოოდ ყველაფერი მაინც მწვრთნელზეა დამოკიდებული. „მილანით“ ძალიან კმაყოფილი ვარ. მინდა, რომ ამ გუნდში ბევრი ჯილდო მოვიგო. რატომ ვარჩიე „მილანი“? — ეს ხომ მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი კლუბია. „შავ-წითლებმა“ გასულ სეზონში სკუდეტო, შარშან კი ჩემპიონთა ლიგა მოიგეს“



იაპ სტამმა „ლაციო“ კარგად გაიხსენა: „რომში სამი ბედნიერი წელი გავატარე, მაგრამ თუ დიდი ჯილდოები გსურს, „მილანის“ დარ გუნდში უნდა გადახვიდე. ჩემი პირველი სამიზნე იტალიის სუპერთასია, რომელიც ამ თვეში გაიმართება“.

სუპერთასისთვის ერთმანეთს „ლაციო“ და „მილანი“ შეხვდებიან, რომელშიც ვერ ითამაშებს ტრავმირებული ფილიპო ინძაგი. მას თვენახევრიანი მკურნალობა გამოუწერეს, თუმც „მილანი“ ახალი ფორვარდის შეძენას არ აპირებს. „ამ ზაფხულს ფეხბურთელებს აღარ ვიყიდით. ინძაგი დაბრუნდება და გაცილებით უკეთესად ითამაშებს, ვიდრე აქამდე. მსურს, რომ ასე მოხდეს და ამას ამიტომ ვამბობ. ჩვენ გყავს შევჩენკო, კრესპო, ტომასონი და კიდევ ახალგაზრდა პოცი. მეხუთე თავდამსხმელი არ გვჭირდება“ — განმარტა „მილანის“ ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ.

ვაჟა ხუციშვილი

ლოტიტოს პროექტი

კაზომ ახალი ლაციო უნდა აუშენოს

„ლაციოს“ ახალდანიშნულმა მწვრთნელმა დომენიკო კაზომ კლუბის პრეზიდენტ კლაუდიო ლოტიტოს ნდობისთვის მადლობა მოუხადა და სამომავლო გეგმაზე ილაპარაკა. 50 წლის კაზოს სერია A-ს გუნდი არასოდეს გაუწვრთნია, სერია B-ში კი „ფოჯაში“, „პისტოიეზესა“ და „კიევოში“ უმუშავია.



„პრეზიდენტმა მეტად მოულოდნელი გადაწყვეტილება მიიღო და ფეხბურთელების სახელით მადლობას ვუხდი. მე არ მსურს ბევრი ლაპარაკი და ყურადღების ცენტრში ყოფნა. ჩვენ ახალი გუნდის შექმნა დაუყოვნებლივ უნდა დავიწყოთ. გულშემატკივრებს პროექტს წარვუდგენთ, რომლის მიხედვითაც კლუბში ბევრი რამ შეიცვლება. მჯერა, რომ ამ პროექტის განხორციელება წარმატებას მოგვიტანს. „ლაციო“ საკმაოდ ორგანიზებული,თთთ კვლავაც ანგარიშგასაწევი ძალა იქნება. ნებისმიერი წვრილმანი მნიშვნელოვანია და ყველაფერი უნდა გავითვალისწინოთ. გუნდს უკვე აქვს ჩამოყალიბებული სახე, მაგრამ ტაქტიკის მხრივ სიახლეები იქნება. შესაძლოა, კლაუდიო ლოტიტოს რამდენიმე ფეხბურთელის შეძენა ვთხოვო და ვიმედოვნებ, რომ ამ საკითხს ჩემპიონატის დაწყებამდე აუცილებლად მოვაგვარებთ“ — განაცხადა დომენიკო კაზომ.

ვაჟა ხუციშვილი

გაუმაძღარი ინტერი

ზე მარიამ სისულელე არ ჩაიდინა

ჟოზე ზე მარია „პერუჯადან“ „ინტერში“ გადავიდა და ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. „შავ-წითლები“ ორი თვის განმავლობაში ევაჭრებოდნენ პერუჯელებს და გარიგება გუშინწინ შედგა. ბრაზილიელის სანაცვლოდ მილანელებმა დაახლოებით მილიონ-ნახევარი ევრო გადაიხადეს.

„მათ ჩემი გადაბირება სურდათ და მეც მინდოდა „ინტერში“ გადასვლა. ასეთი შანსის ხელიდან გაშვება სისულელე იქნებოდა. აუცილებლად დავამტკიცებ, რომ ამ გუნდში თამაშს ვიმსახურებ“ — თქვა ზე მარიამ.

მარჯვენაფლანგელისთვის სულ ერთია, მცველობას დაავალებენ თუ ნახევარმცველობას: „მწვრთნელი რასაც მეტყვის, იმას გავაკეთებ. იქ სხვისი ადგილის დასაკავებლად არ მივსულვარ. მსურს, „ინტერს“ წარმატების მიღწევაში დავეხმარო. ჩემს ყველა თანაგუნდელს პატივს ვცემ, მაგრამ კონკურენციის არ მეშინია“ — განაცხადა ბრაზილიელმა.

„ინტერის“ პრეზიდენტი ჯაჩინტო ფაკეტი: „ჩვენ კიდევ ერთი მაღალი კლასის ფეხბურთელი შევიძინეთ. იგი საკმაოდ გამოცდილია. ზე მარიას ეროვნულ ნაკრებშიც უთამაშია. მასთან საუბარში დავრწმუნდი, რომ ნაღდი პროფესიონალია“.

ჟოზე ზე მარიასთვის „ინტერი“ მესამე იტალიური გუნდია. „პერუჯამდე“ ბრაზილიელი „პარმაში“ თამაშობდა“.

ვაჟა ხუციშვილი



ერიკსონმა დარეკა და... პარიზში

სვენ გორან ერიკსონისა და ფერია ელამის რომანმა ნაკრების შვედი მწვრთნელი კი არა, შესაძლოა, ფეხბურთის ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი მარკ პელიოსი იმსხვერპლოს. შეგახსენებთ, რომ პელიოსი თავად ეთამაშებოდა სიყვარულობანას ელამს.

„სანის“ საკვირაო დამატებამ, ჟურნალმა „ნიუს ოფ ზე ვორლდმა“ გუშინ ინგლისს საიდუმლო ამცნო: ასოციაციის მავან თანამშრომელს ჟურნალის რედაქციაში დაურეკავს და უთქვამს, მარკ პელიოსისა და ფერია ელამის ურთიერთობას თუ არ გაამხელთ, სანაცვლოდ ერიკსონისა და ელამის სასიყვარულო ამბებს დაწვრილებით მოგაწვდითო. მოკლედ, გარიგება შესთავაზა, მაგრამ ჟურნალისტებმა პელიოსსაც „დაფქვინეს“ და დარეკვის ამბავიც გაამხილეს.

ახლა შესაძლოა, ვითარება სვენ გორან ერიკსონის სასარგებლოდ შემობრუნდეს. მას ხომ ნაკრების ფეხბურთელებიც გამოექომაგნენ.

ვაჟა ხუციშვილი

საფრანგეთი

სუპერთასი

ლიონი 1:1დ.დ.(პენ.6:5, 1:1) პსჟ
1:0 ელბერი (54), 1:1 ფიორეზე (70)

სუპერლიონი

საფრანგეთის სუპერთასისთვის კანში ერთმანეთს ჩემპიონი „ლიონი“ და თასის მფლობელი პსჟ შეხვდნენ. „ლიონმა“ დედაქალაქელებს პენალტებით აჯობა და სეზონის დაწყებამდე ერთი ჯილდო უკვე მოიგო. აღსანიშნავია, რომ სუპერთასის მატჩი კანში ორი წლის წინაც გაიმართა და „ლიონმა“ მაშინაც იმარჯვა — „ლორიანს“ 5:1 მოუგო.

პსჟ-ში ჟერომ როტენის დებიუტი შედგა, რომელიც პარიზელებმა „მონაკოდან“ გადაიყვანეს, ხოლო ჩემპიონთა შემადგენლობაში „სოშოდან“ გადაბარგებულმა ფორვარდმა პიერ ალან ფრომ ითამაშა.

ანგარიში ჯოვანი ელბერმა მეორე ტაიმის დასაწყისში გახსნა. ბრაზილიელმა მცველების შეუთანხმებლობით ისარგებლა და თავით გაიტანა, ხოლო პსჟ-მ ფაბრის ფიორეზეს წყალობით გაათანაბრა, რომელიც საგოლე პასით შეცვლაზე შესულმა პედრო პაულეტამ დაასაჩუქრა.

პენალტებში გრეგორი კუპემ იყოჩაღა. მან სილვენ არმანისა და ალიუ ტურეს დარტყმული ბურთები მოიგერია, გადამწყვეტი გოლი კი ლიონელმა ჟერემი ბერტოდმა შეაგდო.

პსჟ-ს მწვრთნელი ვაჰიდ ჰილილჰოჯიჩი: „ჩემი ფეხბურთელებით უკმაყოფილო არ ვარ. განსაკუთრებით კარგად მეორე ტაიმში ითამაშეს. გუნდი ჯერ სათანადო ფორმაში არ არის, მაგრამ ჩემპიონატის დაწყებამდე ყველაფერს მოვაწესრიგებთ“.

ვაჟა ხუციშვილი

ვიქტორ აგალი ლაჟვარდოვან სანაპიროზე

ვიქტორ აგალი, რომელიც მაისში „შალკედან“ თავნებობის გამო გააგდეს, ყოფილ კლუბ „ჰანზაში“ უნდა დაბრუნებულიყო, მაგრამ შესაძლოა, „ნიცაში“ აღმოჩნდეს. აგალი როსტოკელებთან ვარჯიშობდა და ორიოდ კვირის წინ გელზენკირხენელები გამოლანძღა კიდეც. ნიგერიელი „ჰანზას“ კონტრაქტზე თითქმის გაურიგდა, თუმც ახლა „ნიცას“ ვარიანტი გამოუჩნდა და სავარაუდოდ ლაჟვარდოვან სანაპიროს, მიაშურებს.

„ჩვენ ფეხბურთელთან პირობებზე უკვე შევთანხმდით. განსაკუთრებით შეტევაში გვჭირს და მისი დარი მოთამაშე ძალიან წაგვადგება“ — თქვა „ნიცას“ გერმანელმა მწვრთნელმა ჟერნო რორმა.

ვიქტორ აგალი 2002 წელს როსტოკის „ჰანზადან“ გელზენკირხენის „შალკეში“ გადავიდა. ერთი სეზონის განმავლობაში მეტ-ნაკლებად ძირითად შემადგენლობაში ითამაშა, მაგრამ შარშან მასსა და კლუბის ბოსებს შორის უთანხმოება მოხდა. რამდენჯერმე ვარჯიში გააცდინა, რეჟიმს არღვევდა და „ხუმარებმაც“ გუნდიდან მოიშორეს.

ვაჟა ხუციშვილი

შვეიცარია

სუპერლიგა. III ტური

შაფჰაუზენი 3:2 სენტ გალენი
1:0 სენი (37), 1:1 ტაჩე-მენსა (46), 2:1 ტოდისკო (73), 2:2 ლეტიერი (79), 3:2 მერენდა (89)

სერვეტი 1:2 ბაზელი
0:1 ჩიპერფილდი (8), 0:2 მ. დელგადო (46), 1:2 კადერი (47)

ციურიხი 1:0 თუნი
1:0 ნეფი (16)

ძსამაძსი 2:1 აარაუ
0:1 მენეზესი (3), 1:1 ბ. ბაუმანი (23), 2:1 მარგაირაცი (47)

იანგ ბოისი — გრასჰოპერი
გადაიდო

ბაზელი	3	2	1	0	9:2	7
ციურიხი	3	2	1	0	5:2	7
თუნი	3	2	0	1	4:1	6
ქსამაქსი	3	1	2	0	4:3	5
იანგ ბოისი	2	1	1	0	9:4	4
შაფაუზენი	3	1	1	1	5:9	4
გრასჰოპერი	2	0	2	0	3:3	2
სენტ გალენი	3	0	1	2	6:9	1
აარაუ	3	0	0	3	1:9	0
სერვეტი	3	0	1	2	3:7	-2

„სერვეტს“ დაკლებული აქვს 3 ქულა

ჩელენჯლიგა. I ტური

ლუგანო — იუვენტუსი 3:2; ივერდონი — ვინტერთური 2:1; ლუცერნი — შო დე ფონი 3:1; კონკორდია — კრინსი 1:1; სიონი — ბულმე 1:1; ბელე — ბელინცონა 2:4; ვილი — ვოლენი 5:2; კიასო — ბადენი 0:0; ვადუცი — მეირინი 1:0

გერმანია

ჩრდილოეთ რეგიონალლიგა
I ტური

ვერდერი (მ) — ლიუბეკი 2:1; ბრაუნშვაიგი — დორტმუნდი (მ) 0:0; მიუნსტერი — ფორტუნა 1:0; იურდინგენი — პადერბორნი 0:0; ვუპერტალი — ზანქტ პაული 0:1; კილი — ჰამბურგი (მ) 0:2; ჰერტა (მ) — უნიონი 1:1; კიოლნი (მ) — ოსნაბრიუკი 1:1; ვოლფსბურგი (მ) — არმინია (მ) 1:1

ჰოლონეთი

I ლიგა. I ტური

კატოვიცე — ლეხი 0:3; ოდრა — ამიკა 1:2; ვისლა — ლეჩნა 5:1; პლოცკი — გურნიკი 0:0; ზაგლებე — კრაკოვია 2:6; პოგონი — ლეგია 1:2

ავსტრია

მაქსბუნდესლიგა. III ტური

ბრეგენცი — გრაცერი 1:3; მატერსბურგი — პაშინგი 3:0; შტურმი — ადმირა 1:0; ზალცბურგი — ტიროლი 0:0; აუსტრია — რაპიდი 1:1

რაპიდი	3	2	1	0	10:3	7
გრაცერი	3	2	0	1	4:2	6
შტურმი	3	2	0	1	4:4	6
აუსტრია	3	1	2	0	3:2	5
მატერსბურგი	3	1	1	1	4:3	4
პაშინგი	3	1	1	1	4:4	4
ტიროლი	3	1	1	1	2:4	4
ადმირა	3	1	0	2	4:3	3
ზალცბურგი	3	0	2	1	1:2	2
ბრეგენცი	3	0	0	3	2:11	0

ამხანაგური მატჩები

მანჩესტერი 1:1(პენ.8:9) მილანი
1:0 სქოულზი (33), 1:1 შევჩენკო (90)
პენალტები: 0:1 შევჩენკო, 1:1 ფორლანი, 1:1 კრესპო (მეკარე), 1:1 კინი (მეკარე), 1:2 სერეინიო, 2:2 სმიტი, 2:3 კაკა, 3:3 ნევილი, 3:4 კოსტაკურტა, 4:4 იგლსი, 4:5 ბროკი, 5:5 ბრაუნი, 5:6 კაფუ, 6:6 რიჩარდსონი, 6:7 დიდა, 7:7 ბერდსლი, 7:8 კალაძე, 8:8 ჯემბა-ჯემბა, 8:9 მალდინი, 8:9 ჰოვარდი (მეკარე)
მანჩესტერი: ჰოვარდი, ბერდსლი, ვ. ბრაუნი, გ. ნევილი, მ. სილვესტრი (სპექტორი 74), როი კინი, ჯემბა-ჯემბა, ბელიონი (ფორლანი 68), სქოულზი (იგლსი 68), გიგზი (რიჩარდსონი 80), ა. სმიტი
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
მილანი: დიდა, კაფუ, ნესტა (კოსტაკურტა 69), მალდინი, კალაძე, გატუზო (ბროკი 69), პირლო (დორასო 57), ამბროზინი (სერეინიო 57), კაკა, შევჩენკო, კრესპო
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
გაფრთხილება: გატუზო, სილვესტრი
მსაჯი: კევინ სკოტი (აშშ)
75 000 მაყურებელი

სპორტინგი — ფეიენოორდი 1:1 (პენ.4:3); ნიუკასლი — რეინჯერსი 4:2; პორტუ — ლივერპული 1:0; არსენალი — რივერ პლეიტი 0:0; აიაქსი — პანათინაიკოსი 3:2; ლანსი — სელტა 1:0; ჰანზა — მიდლსბრო 3:1; კაიზერსლაუტერნი — მეცი 2:4; ჰართსი — ფულემი 0:2; არმინია — ბსვ ეინდჰოვენი 2:0; სენტ ტრუიდენი — შალკე 1:1; ფრაიბურგი — სოშო 0:0; სელტიკი — რომა 0:1

რუსეთი

თასის 1/16 ფინალი
I მატჩები

სოკოლი — ცსკა 2:0; ჩერნომორეცი — ლოკომოტივი (მოსკოვი) 1:0; სპარტაკი — მეტალურგი (ლიპეცკი) 0:2; დინამო (მოსკოვი) — დინამო (მახაჩყალა) 2:0; დინამო (ბრიანსკი) — ტორპედო 0:2; იელეცი — მოსკოვი 1:3; ირტიში — ზენიტი 0:2; რუბინი — ხიმკი 0:1; კრილია სოვეტოვი — ოლიმპია 3:1; სატურნი — კამაზი 3:0; ტერეკი — ამკარი 0:1; სოდოვიკი — როსტოვი 1:2; ტომი — ყუბანი 1:1; ლოკომოტივი (ჩიტა) — როტორი 1:0; სკა-ენერგია — შინიკი 3:0; არსენალი — ალანია 0:0

საპასუხო მატჩები გაიმართება 7 და 12 აგვისტოს

ხორვატია

ნაციონალლიგა. II ტური

ინტერი — მედიმურიე 3:0; პულა — დინამო 3:3; ოსიეკი — ზადარი 3:1; რიეკა — კამენი 2:1; ჰაიდუკი — ზაგრები 2:4; ვარტექსი — სლავენი 6:0

შოტლანდია

ლიგის თასი. I ეტაპი

ერდრი — ქუინი 0:2; ალოა — ელგინი 2:0; არბროთი — პიტერჰედი 2:4; ეარი — ფოლკირკი 0:3; დამბარტონი — სტირლინგი 1:2; ისტ ფაიფი — კოუდენბითი 0:0(პენ.3:4); ისტ სტირლიგი — ბერვიკი 1:2; ფორფარი — მორტონი 3:1; გრეტნა — მონტროუზი 3:0; პარტიკი — ბრეჩინი 3:0; რეითი — ალბიონი 0:2; როსი — სენტ მირენი 2:1; სენტ ჯონსტონი — ჰამილტონი 2:0; ქუინზ პარკი — სტენჰაუზმური 1:1დ.დ.(პენ.4:2, 1:1)



რობსონს გინესის წიგნი დაუხურეს

ალან შირერს ნიუკასლს სთავაზობენ

„ნიუკასლის“ თავმჯდომარე ფრედი შეპარდმა განაცხადა, რომ ბობი რობსონი მომავალი სეზონის დასრულების შემდეგ გუნდიდან წავა. „ჩვენ მასთან 2005 წლის მაისში კონტრაქტი კიდევ თუ გავახანგრძლივეთ, გინესის რეკორდების წიგნში შევალთ, რადგან 73 წლის მწვრთნელი გვეყოლება“ — იხუმრა შეპარდმა.

„ნიუკასლმა“ რობსონთან კონტრაქტი გასულ გაზაფხულზე მარტში გაახანგრძლივა, რომელსაც ვადა 2005-ის მაისში გასდის. „კაჭკაჭებს“ განვლილ სეზონში მეოთხე ადგილი და ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე თამაში სურდათ, მაგრამ მეხუთეს ვერ ასცდნენ.

ინგლისური მედიის ვარაუდით, სერ ბობი რობსონს ალან შირერი შეცვლის. 33 წლის ფორვარდი კიდევ ერთი წელი აპირებს თამაშს, მერე კი ბუცებს ჩამოკიდებს. კლუბის თავმჯდომარემ შირერზე თქვა: „ვფიქრობ, რომ მისგან შესანიშნავი მწვრთნელი დადგება. უდიდესი გამოცდილება დაუგროვდა და ამ საქმეს თავს კარგად გაართმევს“.

ვაჟა ხუციშვილი

ბულგარეთი

1-ლი დივიზიონი

ლოკომოტივი-1.ფ ლიტაქლი - 1:0 პასკრეი (90)

სლოვენია

სი მობილ ლიგა. I ტური

პუბლიკუმი — დრავა 0:1; კოპერი — ნოვა გორიცა 0:2; პრიმორიე — ბელა კრაინა 4:0; ლიუბლიანა — ზაგორიე 2:0; მარიბორი — მურა 1:1 დომზალე — ოლიმპია გადაიდო

აზიის თასი 2004

მეოთხედფინალი

უზბეკეთი — ბაჰრეინი 2:2დ.დ.(პენ.3:4, 2:2); ჩინეთი — ერაყი 3:0; იაპონია — იორდანია 1:1დ.დ.(პენ.4:3, 1:1); სამხრეთ კორეა — ირანი 3:4

ნახევარფინალი: 3 აგვისტო

ბაჰრეინი — იაპონია; ჩინეთი — ირანი

სლოვაკეთი

I ლიგა. II ტური

რუჟომბეროკი — დუბნიცა 0:2; ტრენჩინი — სობოტა 1:0; ჟილინა — პეტრუალკა 5:1; ტრნავა — პუხოვი 3:1; ინტერი — ბანსკა ბისტრიცა 1:4

ბირჰოფის კარგი და ცუდი

ბუნდესნაკრების მწვრთნელი იურგენ კლინსმანი და მენეჯერი ოლივერ ბირჰოფი ფეხბურთელობისას ფორვადები იყვნენ. მათ შეტევა უყვარდათ და ასეთივე შემტევი გუნდის შექმნას აპირებენ. „ბილდთან“ ინტერვიუში მენეჯერი ბირჰოფი გერმანიის ნაკრების მომავალზე და თავის მოვალეობაზე საუბრობს

— თქვენ იგივე ფუნქციას იკისრებთ, რასაც ული ჰიონესი „ბიაერნში“ ასრულებს?

— კლუბის და ნაკრების მენეჯერობა სხვადასხვა რამაა, ჰიონესისგან კი ბევრის სწავლა შეიძლება. იგი ხშირად „ფეთქთედბა“, მაგრამ არ ვიცნობ ერთ მოთამაშესაც კი, მასზე აუგი რომ ეთქვას,

— ჩვენ მსოფლიოსა და ევროპის სამგზის ჩემპიონები უმენეჯეროდ გავხდით. ახლა რატომღა დაგვჭირდა?

— იმიტომ, რომ მოედანს გარეთ ვითარება შეიცვალა. მე იურგენ კლინსმანს სამუშაო უნდა გავუადვილო.

— როგორ?

— ჩემი მოვალეობა ბუნდესლიგის გუნდებთან, სპონსორებთან და მედიასთან ურთიერთობაა. გარდა ამისა, მწვრთნელსა და ნაკრების ფეხბურთელთა შორის პრობლემების მოგვარებაც მეკისრება. მენეჯერმა დაძაბული ვითარების განმუხტვა უნდა მოახერხოს. მაგალითად, რუდი ფიოლერს გადადგომის ამბავს მოვიყვან. მას მენეჯერი რომ ჰყოლოდა, შესაძლოა, ყველაფერი სხვაგვარად დასრულებულიყო.

— საკლუბო მენეჯერისგან განსხვავებით, თქვენ ფეხბურთელს ვერ იყიდით, მაგრამ ნაკრებში აილტონის აყვანა ხომ შეგიძლიათ?

— მე ვიცი, რომ მას ჩვენს ნაკრებში თამაში სურს, თუმც ამ თემას ჯერ არ შევხებივართ. უკვე რამდენიმე წელია, გერმანია უცხოელ ფეხბურთელთა მოზღვავების გამო წუხს, რადგან ისინი აქაურებს თავის გამოჩენის საშუალებას უზღუდავენ.

— ლეგიონერებზე ლიმიტის დაწესებას ხომ არ მოითხოვთ?

— ჩვენს ნაკრებს განსაკუთრებით შეტევაში უჭირს, რადგან თითქმის ყველა ბობოლა ბუნდესლიგურ გუნდში უცხოელი ფორვარდები თამაშობენ, თუმც ლიმიტის შემოღება არასწორი იქნება. მე კლუბებთან ვიმუშავებ, რომ მათ ახალგაზრდა გერმანელებს მეტი სათამაშო დრო დაუთმონ.

— იურგენ კლინსმანი მსოფლიოს ჩემპიონობას უმიზნებს. ხომ არ გაშინებთ ასეთი განცხადება?

— ჩვენ ფორვარდები ვიყავით და შეტევა გვიყვარს. ამბიციებიც აქედან მოდის, მაგრამ ვითარებას რეალურად ვაფასებთ. ყველა მიმართულებით ვიმუშავებთ ამ მიზნის მისაღწევად.

— კი მაგრამ, იმ ნაკრებით, რომელიც ევრო 2004-ზე ჩავარდა, ეს შესაძლებელია?

— გერმანიის ნაკრები არც ისეთი კარგია, მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის შემდეგ რომ ეგონათ და არც ისეთი ცუდი, ევროპის ჩემპიონატზე რომ გამოჩნდა.

ანრიმ ვენგერს ვან ბასტენი ჰეუკვეთა

ევრო 2004-ზე ფრანგებს რომ ემარჯვათ, ტიერი ანრი ალბათ „ოქროს ბურთის“ მთავარი კანდიდატი იქნებოდა, „არსენალის“ შ პრემიერლიგაც მოიგო და ბომბარდირიც გახდა, მაგრამ ანრი და საფრანგეთის ნაკრები უსახელოდ დაემშვიდობნენ პორტუგალიას. „მეთოფეთა“ მეგოლე ერთ-ერთ ფრანგულ გაზეთთან ინტერვიუში ნაკრების გამოსვლას აფასებს და „არსენალში“ მარკო ვან ბასტენს ეპატიჟება.

— თქვენ ევროპის ჩემპიონობის უდავო ფავორიტად გთვლიდნენ. რა დაემართა ნაკრებს?

— ცხადია, პორტუგალიაში პირველობისთვის ჩავედით. პირადად ჩემთვის სულ ერთი გახლდათ ინგლისს ვეთამაშებოდით თუ შვეიცარიას, რადგან ნებიმიერ მატჩში მოსაგებად ვიბრძვი, მაგრამ ეს ჩვენი ჩემპიონატი აშკარად არ იყო.

— ინგლისთან შეხვედრა განსაკუთრებულად დაგამახსოვრდათ?

— დიახ, თუ გავითვალისწინებთ, რომ ინგლისელი ცოლი მყავს. ეს ხუმრობით, ხოლო სერიოზულად გეტყვით — ბევრმა ჩვენი შეხვედრა ლამის ფინალად მონათლა, მაგრამ ჩემთვის არაფრით გამოირჩეოდა სხვებისგან. ევროპის ჩემპიონატზე ხომ ნებისმიერი მატჩი განსაკუთრებულია.

— პრემიერლიგაში ბრწყინვალე სეზონი გქონდათ. „არსენალმა“ ჩემპიონატი დაუმარცხებლად გუნვლო და 115 წლის წინანდელი რეკორდი გაიმეორა...

— ასეთი შედეგის მისაღწევად ძლიერი გუნდი და ცოტა იღბალია საჭირო.. შარშანწინდელი სეზონის შემდეგ სწორი დასკვნები გავაკეთეთ. მაშინ ხომ თითქმის მოგებული ჩემპიონატი დავთმეთ. ამჯერად ისიც დაგვეხმარა, რომ ფავორიტებად აბრამოვიჩისგან გამდიდრებული „ჩელსი“ და, როგორც ყოველთვის, „მანჩესტერ იუნაიტედი“ ითვლებოდნენ, ჩვენ კი ჩუმად მივიწევდით ჯილდოსკენ.

— რომან აბრამოვიჩის წყალობით „ჩელსი“ ყიდულობს თითქმის ყველას, ვისაც კი მოისურვებს. ასეთი პოლიტიკა სწორად მიგაჩნიათ?

— თუ იმდენი ფული აქვთ, რომ მსოფლიოში საუეთესო გუნდის შექმნას შეძლებენ, ეს მათი საქმეა და უფლებაც აქვთ. ასეთი პოლიტიკა მე არ მაღიზიანებს, პირიქით, გამიხარდება კიდეც ვინმეს მდიდარი სპონსორი თუ გამოუჩნდება. „არსენალში“ სულ სხვა პრინციპია — ჩვენთან გუნდური სულია მთავარი და არა ცალკეული ვარსკვლავები.

— „არსენალის“ წარმატებაში არსენ ვენგერის წილი რამდენია?

— ნახევარზე მეტი მისი დამსახურებაა. ჩვენ მხოლოდ მოედანზე ვმოქმედებთ, მწვრთნელს კი გაცილებით ბევრი თავსატეხი აქვს.

— არსენ ვენგერს რომან აბრამოვიჩის მილიარდები ერთი საათით ხელში რომ ჩაუვარდეს, რომელი ფეხბურთელის შეძენას სთხოვდით?

— მარკო ვან ბასტენის, ის ხომ ჩემი კერპია!

— ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში „ჩელსისთან“ მარცხი ძალიან განიცადეთ?

— „ჩელსის“ ჩვენთვის მანამდე 18 მატჩი არ მოუგია და ეს ოდესღაც უნდა მომხდარიყო. იმ საღამოს მათ აშკარად გვაჯობეს, „არსენალი“ კი ფორმაში არ იყო. მატჩის დაწყებიდან 15 წუთში თავს გამოწურული ლიმონივით ვგრძნობდი, მაგრამ წაგებაზე დიდხანს არ მიდარდია. მომდევნო შეხვედრაში „ლივერპულს“ სამი, შემდეგ კი „ლიდს“ გავუტანე.

სარგებელი: კროკი

წარმოგიდგენთ

სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

ინგლისი. ჩემპიონატი. I ტური

7 აგვისტო

			1	X	2	1-X	1-2	X-2
15.15	051	ლიდსი-დერბი	1,8	3,2	4,0	1,15	1,24	1,77
18.00	052	ბარნლი-შეფილდი	2,6	3,2	2,4	1,43	1,24	1,37
18.00	053	ქრიუ-კარდიფი	2,4	3,2	2,6	1,37	1,24	1,43
18.00	054	იფსვიჩი-ჯილინგემი	1,55	3,4	6,0	1,06	1,23	2,17
18.00	055	ლესტერი-ვესტ ჰემი	2,25	3,2	2,9	1,32	1,26	1,52
18.00	056	პლიმუთი-მილუოლი	2,35	3,2	2,7	1,35	1,25	1,46
18.00	057	პრესტონი-უოტფორდი	2,0	3,2	3,4	1,23	1,25	1,64
18.00	058	ქპრ-როტერჰემი	1,75	3,3	4,2	1,14	1,23	1,84
18.00	059	რედინგი-ბრაიტონი	1,7	3,3	4,6	1,12	1,24	1,92
18.00	060	უიგანი-ნოტინგემი	2,0	3,2	3,4	1,23	1,25	1,64
20.35	061	ქოვენთრი-სანდერლენდი	2,4	3,1	2,7	1,35	1,27	1,44

8 აგვისტო

15.15	062	სტოკი-ვულვერჰემპტონი	2,6	3,2	2,4	1,43	1,24	1,37

ინგლისი. I ლიგა. I ტური

7 აგვისტო

18.00	068	ბრისტოლი-ტორკი	1,5	3,5	6,0	1,04	1,2	2,21
18.00	069	ჩესტერფილდი-ბრენტფორდი	2,35	3,2	2,6	1,35	1,23	1,43
18.00	070	დონკასტერი-ბლეკპული	2,0	3,2	3,3	1,23	1,24	1,62
18.00	071	ჰარტლპული-ბრედფორდი	1,9	3,2	3,5	1,19	1,23	1,67
18.00	072	ჰალი-ბორნმუთი	1,75	3,2	4,2	1,13	1,23	1,81
18.00	073	ლუტონი-ოლდემი	1,85	3,2	3,6	1,17	1,22	1,69
18.00	074	დონსი-ბარნსლი	2,4	3,2	2,5	1,37	1,22	1,4
18.00	075	პიტერბრო-ტრანმერი	2,6	3,2	2,35	1,43	1,23	1,35
18.00	076	უენსდი-კოლჩესტერი	1,75	3,2	4,2	1,13	1,23	1,81
18.00	077	სტოკპორტი-ჰადერსფილდი	2,15	3,2	3,0	1,28	1,25	1,54
18.00	078	უოლსოლი-პორტ ვეილი	1,95	3,2	3,5	1,21	1,25	1,67
18.00	079	რექსემი-სუინდონი	2,5	3,2	2,4	1,4	1,22	1,37

ინგლისი. II ლიგა. I ტური

7 აგვისტო

18.00	083	ბოსტონი-ოქსფორდი	2,25	3,2	2,8	1,32	1,24	1,49
18.00	084	ბერი-იოვილი	2,5	3,2	2,4	1,4	1,22	1,37
18.00	085	დარლინგტონი-გრიმსბი	2,35	3,2	2,6	1,35	1,23	1,43
18.00	086	ლეიტონი-მაკლსფილდი	1,85	3,2	3,6	1,17	1,22	1,69
18.00	087	მენსფილდი-როვერსი	2,0	3,2	3,3	1,23	1,24	1,62
18.00	088	ნოტსი-ჩესტერი	2,1	3,2	3,1	1,26	1,25	1,57
18.00	089	რაშდენი-კიდერმინსტერი	2,0	3,2	3,3	1,23	1,24	1,62
18.00	090	სკანთორპი-როჩდეილი	1,9	3,2	3,5	1,19	1,23	1,67
18.00	091	შრიუსბერი-ლინკოლნი	2,35	3,2	2,6	1,35	1,23	1,43
18.00	092	საუთენდი-ჩელტენემი	2,15	3,2	3,0	1,28	1,25	1,54
18.00	093	სუონსი-ნორთჰემპტონი	2,5	3,2	2,4	1,4	1,22	1,37
18.00	094	უიკომბი-კემბრიჯი	1,9	3,2	3,5	1,19	1,23	1,67

შოტლანდია. პრემიერლიგა. I ტური

7 აგვისტო

15.30	098	აბერდინი-რეინჯერსი	7,0	3,6	1,45	2,37	1,2	1,03
18.00	099	დანდი-ჰართსი	2,7	3,2	2,35	1,46	1,25	1,35
18.00	100	დანფერმლაინი-დანდი იუნაიტედი	2,15	3,2	3,1	1,28	1,26	1,57
18.00	101	ჰიბერნიანი-კილმარნოკი	1,95	3,2	3,5	1,21	1,25	1,67
18.00	102	ლივინგსტონი-ინვერნესი	1,95	3,2	3,5	1,21	1,25	1,67

8 აგვისტო

17.00	103	სელტიკი-მოზერუელი	1,1	7,0	14,0	1	1,01	4,66

შოტლანდია. I დივიზიონი. I ტური

7 აგვისტო

18.00	106	ერდრი-სტ.ჯონსტონი	2,8	3,4	2,15	1,53	1,21	1,31
18.00	107	კლაიდი-პარტიკი	2,6	3,4	2,25	1,47	1,2	1,35
18.00	108	ჰამილტონი-რეითი	1,95	3,4	3,2	1,23	1,21	1,64
18.00	109	ქუინი-როსი	2,5	3,4	2,3	1,44	1,19	1,37
18.00	110	სტ.მირენი-ფოლკირკი	2,4	3,4	2,4	1,4	1,2	1,4

შოტლანდია. II დივიზიონი. I ტური

7 აგვისტო

18.00	113	ბერიკი-მორტონი	2,6	3,5	2,2	1,49	1,19	1,35
18.00	114	დამბარტონი-ეარი	2,25	3,4	2,6	1,35	1,2	1,47
18.00	115	ფორფარი-ბრეჩინი	2,8	3,5	2,1	1,55	1,19	1,31
18.00	116	სტირლინგი-არბროთი	2,15	3,5	2,7	1,33	1,19	1,52
18.00	117	სტრანრარი-ალოა	2,15	3,5	2,7	1,33	1,19	1,52

შოტლანდია. III დივიზიონი. I ტური

7 აგვისტო

18.00	120	ისტ ფაიფი-მონტროუზი	1,7	3,6	3,8	1,15	1,17	1,84
18.00	121	გრეტნა-ალბიონი	1,4	4,0	6,5	1,03	1,15	2,47
18.00	122	პიტერჰედი-ისტ სტირლინგი	1,15	5,6	11,0	1	1,04	3,71
18.00	123	ქუინზ პარკი-კოუდენბითი	2,5	3,4	2,3	1,44	1,19	1,37
18.00	124	სტენჰაუზმური-ელგინი	1,5	4,0	5,0	1,09	1,15	2,22

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაგაზუსტეთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ავსტრია. I დივიზიონი. III ტური						
		3 აგვისტო						
20.00	208	ალტახი-ვიორგლი	1,9	3,2	3,5	1,19	1,23	1,67
21.00	209	ვრატკორნი-ავსტრია(ლ)	3,1	3,2	2,1	1,57	1,25	1,26
21.00	210	კაფენბერგი-ლინცერი	1,8	3,2	3,8	1,15	1,22	1,73
21.00	211	რიდი-ლეობენი	1,7	3,3	4,4	1,12	1,22	1,88
21.00	212	უნტერსიბენბრიუნი-კერნტენი	3,3	3,2	2,0	1,62	1,24	1,23
		შვედეთი. ალსვენსკა. XIV ტური						
		3 აგვისტო						
22.00	259	გიოტებორგი-ჰელსინგბორგი	2,1	3,2	3,2	1,26	1,26	1,6
		რუსეთი. პრემიერლიგა. გადადებული მატჩები						
		4 აგვისტო						
16.00	338	ყუბანი-სპარტაკი	3,5	3,0	2,0	1,61	1,27	1,2
		ინგლისი. სუპერთასი						
		8 აგვისტო						
18.00	456	არსენალი-მანჩესტერი	2,5	3,1	2,5	1,38	1,25	1,38

CROCO BOOKMAKERS კროკო

ისარგებლეთ კროკოს ახალი მომსახურებით

CROCO BOOKMAKERS

ტელკრედიტი TELCREDITI

10 42 00 24 +%

CROCO BOOKMAKERS კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

კროკოს ბიუროთა მისამართები

თბილისი	ფურცელაძის ქუჩა №10	კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში
	აღმაშენებლის გამზირი №70	
	გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4	
	ვაჟა ფშაველას გამზირი №46	მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან“ (ყოფილი „დელისი“)
	წინამძღვრიშვილის ქუჩა №200	ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში
	გურამიშვილის გამზირი №50	მეტრო „ღრმაღელესთან“
	წერეთლის გამზირი, კორპუსი №11	
	ჭავჭავაძის გამზირი № 41	
	გამსახურდიას გამზირი № 3	
	ვაჟა ფშაველას გამზირი №91	
	იოანე პეტრიწის ქუჩა №13	დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი
	ხუდადოვის ქუჩა №4	
	დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი	
	ვარკეთილი, კალოუბნის „აბ“ კორპუსი №48	
	მელიქიშვილის ქუჩა №15	
	ისანი -კახეთის გზატკეცილი	ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია
	წერეთლის გამზირი №141	
ქუთაისი	პუშკინის ქუჩა№16	ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში
	წმინდა ნინოს ქუჩა № 13	
	ჭავჭავაძის № 67	ცენტრალური ავტოსადგური
გორი	სტალინის ქუჩა №14	
თელავი	„ახალი ავტოსადგური“ ალაზნის გამზირი	
ბათუმი	მემედ აბაშიძის ქუჩა № 1	
მარნეული	რუსთაველის ქუჩა №50	
ოზურგეთი	გაბრიელ ეპიკოპოსის ქუჩა №2	
გურჯაანი	დავით გურამიშვილის ქუჩა №28	
საგარეჯო	დავით აღმაშენებლის №30	
სამტრედია	რუსთაველის გამზირი №27	
ხაშური	რუსთაველის ქუჩა №16	
წნორი	სტალინის ქუჩა №1	
ბორჯომი	რუსთაველის ქუჩა №145	
ზესტაფონი	გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6	
ახალციხე	ნათენაძის ქუჩა №7	
რუსთავი	შარტავას ქუჩა №7	





პასპორტი და სპორტი

სალომე, ჯახა და შემო

„სალომე ზურაბიშვილისა და კახა ბენდუქიძის შემდეგ შემონდ უილიამსი მესამე ადამიანია, ვისზეც ქვეყნის პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გამონაკლისი დაუშვა და საქართველოს მოქალაქეობა მიანიჭა“ — გვითხრა კალათბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა მერაბ რატიშვილმა.

ზურაბიშვილი და ბენდუქიძე, მოგეხსენებათ, მინისტრები არიან, უილიამსი კი საქართველოს საკალათბურთო ნაკრებში სათამაშოდ იღებს ქართულ პასპორტს. ამ ყველაფრის შეხსენება კი იმიტომ გადავწყვიტეთ, რომ უილიამსის „გაქართველებას“ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ხელის მოწერაღა აკლია. ამ საქმისთვის საჭირო ყველა საბუთი თუ დოკუმენტი უკვე შედგენილია და პრეზიდენტის აპარატში დევს ხელმოსაწერად გამზადებული.

ანუ ყველაფერი გადაწყვეტილია, „უილიამსის საქმეს“ დღე-დღეზე წერტილი დაესმება. ხოლო პრეზიდენტი რომ ხელის მოწერას არ გადაიფიქრებს, აქედან ჩანს: რაც აქამდე უილიამსის საბუთები მოგროვდა და მისთვის საქართველოს მოქალაქეობის მისაცემად საჭირო განკარგულების ტექსტი მომზადდა, სააკაშვილის ბრძანებით იყო ნაკარნახევი. ესე იგი, დღეს თუ არა ხვალ უილიამსი საქართველოს მოქალაქე გახდება და ჩვენს ნაკრებში სათამაშოდ ოფიციალურ მატჩებშიც მწვანე შუქი აენთება.

სანამ უილიამსი „გაქართველდება“, ნაკრების თავკაცმა დრაჟენ ბრაიკოვიჩმა გაფართოვებული, 21-კაციანი სია აფრინა ფიბა-ში, რომლიდანაც მომავალ საკვალიფიკაციო თამაშებზე გუნდს დააკომპლექტებს. სიაში ცხადია, მოხვდა შემონდ უილიამსი, თუმც შესაძლოა, საქართველოს კალათბურთის ფედერაციას მაინც მოუწიოს 800-ლარიანი ჯარიმის გადახდა გაქართველებული ამერიკელის გამო.

საქმე ისაა, რომ 1 აგვისტოს ამოიწურა ფიბა-ში წინასწარი, გაფართოვებული განაცხადების შეტანის ვადა და თუ ამ თარიღის შემდეგ ვინმეს დამატებას მოისურვებს, კონკრეტული ქვეყნის ფედერაციამ თითოეულ მოთამაშეზე 800 ლარი უნდა გადაიხადოს. უილიამსი კი, მოგეხსენებათ, ჯერ არ გამხდარა საქართველოს მოქალაქე და ჩვენი ფედერაციის მიერ ფიბა-ში გაგზავნილი მისი საბუთებიც შესაბამისად არაა სრულყოფილი. წერილში მითითებულია, რომ უილიამსის „გაქართველება“ გადაწყვეტილი ამბავია და მის ბორჯღალიან პასპორტსაც უახლოეს დღეებში გაგზავნიან ფიბა-ში... დანარჩენი ევროკალათბურთის მამების გადასაწყვეტია, რომლებთანაც, სხვათა შორის, ქართულ მხარეს შეხმატკბილებული ურთიერთობა აკავშირებს. გეხსომებათ, ფიბა-ევროპას პრეზიდენტი გიორგიოს ვასილოკოპულოსი შარშან თბილისში იმყოფებოდა და ქართველებმაც ხომ არაერთხელ ჩაკითხეს მას.

წინასწარ განაცხადში სულ 24 ადგილია. ამ 24 კაციდან საკვალიფიკაციო მატჩის დაწყებამდე 72 საათით ადრე ნებისმიერი 12-ის გამოყვანაა შესაძლებელი. ანუ შემადგენლობის გამოცვლა ყოველი მატჩის წინ შეიძლება.

ბრაიკოვიჩმა კი, როგორც ვთქვით, 21 კალათბურთელის გვარი გააგზავნა ფიბა-ში, რაც იმას ნიშნავს, რომ ნებისმიერ დროს 3 ახალი მოთამაშის დამატების უფლება გვექნება, თუ, რა თქმა უნდა, ამათ გარდა ვინმე ხეირიანი გამოჩნდა ქართულ კალათბურთში:

ირაკლი ბერიშვილი
შემონდ უილიამსი
გიორგი ცინცაძე
ლაშა გამყრელიძე
გიორგი ნიკოლაძე
ანატოლი ბოისა
შიო ხეცურიანი
კოტე ტულუში
მანუჩარ მარკოიშვილი
ვიქტორ სანიკიძე
ვლადიმერ ბოისა
ლაშა კეშელავა
ნიკოლოზ ცქიტიშვილი
ვახტანგ ნაცვლიშვილი
ვალერი კილაძე
ზვიად ბაბიაშვილი
გიორგი მდივანი
დავით ბერძენიშვილი
ვლადიმერ სტეფანია
დავით უგრეხელიძე
ზაზა ფაჩულია

ჯეოსელმა დავით ბერიშვილი ჩაერთო

ბასკო თვალს და ხელს-შუა იულგბა

„დავით ბერიშვილი უკვე დავითანხმეთ და ახლა რამაზ გოგობერიშვილთან ვაწარმოებთ მოლაპარაკებას, რაც, სავარაუდოდ, წარმატებით დასრულდება“ — ამბობს „სტუ-ჯეოსელის“ მწვრთნელი ნუგზარ ჭეიშვილი. ჭეიშვილი დარწმუნებულია, რომ სოლიდურ გუნდს დააკომპლექტებს და უკვე სირიის საერთაშორისო ტურნირზე ფიქრობს.

ასეა, სადაც ფულია, მოთამაშეებიც იქ წავლენ. ფული კი, მოგეხსენებათ, დღეს ქართული კლუბების უმეტესობას თითქმის არ მოეპოვება. ერთი „დინამოა“ დალხენილი და ყველას ხომ ვერ დაიტევს. ახლა კი „სტუ-ჯეოსელი“ წამოიჩიტა, სახელფასო ფონდი დაადგინა და მოთამაშეებიც ნელ-ნელა ტექნიკოსებისკენ დაიძრნენ.

არადა, დავით ბერიშვილი ტყუპისცალ ირაკლისთან ერთად „ბასკოში“ ჩემპიონი გახდა და ბათუმელებისთვის სიტყვაც ჰქონდა მიცემული, თუ სპონსორი გამოჩნდა, თქვენთან ვარო. მაგრამ ძალიან გაიწელა „ბასკოს“ დამფინანსებლის მოძებნა და მისი მოთამაშეებიც იქით დაიძრნენ, სადაც ფულს უხდიან. დავით ბერძენიშვილი და ირაკლი ბერიშვილი „დინამოში“ მოკალათდნენ, დავით ბერიშვილმა კი სტუ-ს მიაშურა. დავითს 5 წლის წინაც უთამაშია სტუ-ში, ოღონდ ტყუპისცალ ირაკლისთან ერთად.

„სტუ-ს ხელმძღვანელობას სიტყვიერად უკვე შევუთანხმდი და თუ რამე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდში ვითამაშებ.“ — გვითხრა დავით ბერიშვილმა.

„სტუ-ჯეოსელი“ ახლა ცენტრის ძიებაშია და „დინამოს“ მადას გადარჩენილ ხალხს ელაპარაკება. დავით მუშკუდიანი, კახა შენგელია ან ვინმე სხვა... გაარჩია, ვის დავითანხმებთო — ამბობს ნუზგარ ჭეიშვილი და სრული შემადგენლობის შეკრებას 10 აგვისტოსთვის გეგმავს: „შეკრებას 10 აგვისტოს დავიწყებთ და 8 სექტემბრამდე მოვემზადებით. შემდეგ სირიაში უნდა წავიდეთ, დამასკო დიდ საერთაშორისო ტურნირს მასპინძლობს. შეჯიბრში 8 ქვეყნის გუნდი მიიღებს მონაწილეობას და ტურნირიც 8 დღეს, 12-დან 20 სექტემბრამდე გასტანს. სირიიდან მობრუნებულები დუდუ დადიანის ტურნირში ვითამაშებთ და ჩემპიონატიც დაიწყება. კალენდარი მართლაც მშვენიერია.“

ირაკლი პერტაია



ჩემპიონმა „ბასკომ“ ტყუპი ბერიშვილები დაკარგა

ფოტო ფოტოლეტა



REUTERS ჯეკსონვილიდან



დისციპლინა უპირველეს ყოვლისა! ლარი ბრაუნმა ვარჯიშზე დაგვიანებული ალენ აივერსონი სკამზე დასვა

დაჯექი კუთხეში!

ბრაუნი ვარსკვლავთა დასჯით იწყებს

საოლიმპიადო სამზადისში მყოფმა „დრიმ თიმმა“ შაბათს პირველი სპარინგ-მატჩი გამართა პუერტო რიკოსთან, თავის პირველ მეტოქესთან ათენის ოლიმპიადაზე. თამაში ჩრდილოეთ ფლორიდაში დიდი კალათბურთისგან მივიწყებულ ქალაქ ჯეკსონვილში ჩატარდა და გადაჭედილი დარბაზის ინტერესი ნაწილობრივ დააკმაყოფილა.

ხალხმა თავისთავად დიდი ვარსკვლავების ბურთაობა იხილა, მაგრამ მათ არ უნახავთ ალენ აივერსონის ჯადო-დრიბლინგები და ლებრონ ჯეიმსის ელვისებური პასები. ეს ორი ვარსკვლავი ამარე სტუდემაიერთან ერთად სათადარიგოთა სკამზე იჯდა ლარი ბრაუნისგან დასჯილი, რაკი მათ თამაშისწინა შეკრება-თათბირი გააცდინეს.

ხალხი თამაშის მიწურულს ომახიანად მოითხოვდა, აივერსონ, აივერსონო... იმას თუ ფიქრობდნენ, არაოფიციალური მატჩია და ბრაუნი აივერსონს მაინც გვაჩვენებს საქმეშიო. არ გაჭრა თხოვნა-მოთხოვნამ, ბრაუნმა სიტყვა შეასრულა და დისციპლინის დამრღვევნი საფინალო სირენამდე თამაშგარეთ დატოვა.

ამერიკელი ჟურნალისტები კი იმას ჩივიან, აივერსონსა და ბრაუნს შორის „ფილადელფიაში“ გაღვივებული შუღლი ბოლო დროს მინელდა და ამ ამბავმა კიდევ ახალ კონფრონტაციას არ დაუდოს სათავეო. თუმც აივერსონს გაბრაზებისა არაფერი ეტყობოდა, ბოლომდე უყურა ამერიკელებისგან პუერტორიკოელების 96:71 ძლევას და შემდეგ გუნდს შეუერთდა.

ლიდერთა არყოფნაში ხელი გამოიღეს კარმელო ენტონიმ და კარლოს ბუზერმა, რომლებმაც 16-16 ქულა მიაშველეს დრიმთიმელებს.

პუერტო რიკომ პირწმინდად წააგო, მაგრამ პერიოდულად კუნძულელებსაც ჰქონდათ სიხარულის საბაბი. ლარი აიუსო დიდებულად ესროდა შორიდან და მეორე მეოთხედში პუერტორიკოელებს ანგარიშიც გაათანაბრებინა, მაგრამ...

აიუსომ ჯამში 5 სამქულიანი ჩააგდო, როცა მთელმა „დრიმ თიმმა“ ამის გაკეთება სულ 3-ჯერ მოახერხა. ამერიკელები უფრო საჯარიმოს შიდა სივრცეებს ეტანებოდნენ და მათი შემჩერებელიც ვერავინ მოინახა კუნძულელთაგან.

„დრიმ თიმმა“ შაბათს საღამოსვე დატოვა ამერიკა და გერმანიაში გაფრინდა, სადაც მორიგ საკონტროლო მატჩს გამართავს. გერმანიიდან ამერიკელები სტამბოლში ჩავლენ და ოლიმპიადის წინ უკანასკნელ სპარინგ-მატჩს ითამაშებენ ოსმალოთა ეროვნულ გუნდთან.

ირაკლი პერტაია

REUTERS ბერთიდან

ოხ, ეს რეთბოუნი!

ის ურჩევნია მამულსა, შვილი არ გვემდეს მამასა

31 ივლისი. პერთი

ავსტრალია 30:26 ს. აფრიკა

ავსტრალია: 15 კრის ლეითემი, 14 კლაიდ რეთბოუნი, 13 სტირლინგ მორტლოკი, 12 მეტ ჟიტუ (მეტიუ ბერკი), 11 ლოუთ ტუკირი; 10 სტივენ ლარქემი, 9 ჯორჯ გრეგანი (კაპ); 8 დევიდ ლაიონზი, 7 ფილ ვუ, 6 ჯორჯ სმიტი (ჯონ რო), 5 ნათან შარპი, 4 ჯასტინ ჰარისონი, 3 ალ ბაქსტერი, 2 ჯერემი პოლი, 1 ბილ იანგი (მეტ დანინგი)

4 ლელო: ტუკირი, ლარქემი, ლეითემი, რეთბოუნი

2 გარდასახვა: ჟიტუ, ბერკი

2 საჯარიმო: ჟიტუ

სამხრეთ აფრიკა: 15 პერსი მონტგომერი, 14 ბრეიტონ პოლსი, 13 მარიუს ჟუბერი, 12 დე ვიტ ბერი, 11 იან დე ვილერსი (ხაფი დიუ ტუა); 10 იაკო ფან დერ ვესტჰოიზენი, 9 ფურ დუ პრეეცი; 8 ჟაკ კრონხე, 7 ეიჯეი ვენტერი, 6 შალკ ბურგერი (ჯო ფან ნიკერკი), 5 გერი ბრიცი, 4 ბაკიზ ბოთა, 3 ედი ენდრიუსი (სიჯეი ფან დერ ლინდე), 2 ჯონ სმიტი (კაპ), 1 ოზ დუ რანტი

3 ლელო: ფან დერ ვესტჰოიზენი, დე ვილერსი, დიუ ტუა

1 გარდასახვა: მონტგომერი

3 საჯარიმო: მონტგომერი

ისევ წააგო სამხრეთ აფრიკამ. „ქურციკები“ ნაღდი ქურციკებივით დარბიან და კამეჩებივით მუშაობენ; არც ლელოს გატანა უჭირთ და მათ თამაშსაც უკვე ველარ დაარქმევ შერკინებაში ბულრაობას, მაგრამ ჯეკ ვაითის შეგირდები ჯერ მხოლოდ 7 ქულაზე ნაკლებით წაგების ახერხებენ და ანგარიშზეც მხოლოდ ორი პრემიალური ქულა აქვთ. არადა, ისინი 24 ივლისს კრაისტჩერჩში ახალ ზელანდიასთანაც და გუშინწინ პერთში ავსტრალიასთანაც იგებდნენ და იქაც და აქაც ბოლო წუთებზე გაშვებულ ლელოებს ემსხვერპლნენ.

მათთვის ყველაზე საწყენი კი ისაა, რომ აფრიკელები მათ გვერდით გამოზრდილ-დაკაცებულმა და შემდეგ ავსტრალიაში „გაქცეულმა“ კლაიდ რეთბოუნმა დაღუპა.

სანამ ავსტრალიაში გადაბარგდებოდა და ოზთა ზორბა გარემარბ ვენდელ თეილორს სათადარიგოთა სკამზე გადასვამდა, რეთბოუნი თავის სისწრაფესა და ჯანს აფრიკული რაგბის კეთილდღეობას ახმარდა და 21-წლამდელ „ქურციკთა“ იმ ნაკრებსაც კაპიტნობდა, რომელმაც 2002 წელს მსოფლიოს ჩემპიონატი მოიგო. ახლა ტირიან აფრიკელები, ეს რა ჯელი დავკარგეთო, თან დროშის მოღალატეს ლანძღავენ. „ჩვენ ჩვენიანმა ჩაგვძირა. ამაზე უკეთესი რა უნდა დაწეროთ“ — ბოღმით ეუბნებოდა ჟურნალისტებს ჯეკ ვაითი.

„მოღალატე“ რეთბოუნი კი ცეცხლზე ნავთს ასხამს“ — „არავითარ ორმაგ გრძნობებს არ განვიცდი. მე ჩემს თავს ავსტრალიელად ვთვლი და მიხარია, რომ „ვოლაბებს“ ხელი წავახმარე.“

რეთბოუნის ლელო გადამწყვეტი გამოდგა. მატჩ-თრილერში სულ შვიდი ლელო გავიდა და რვაჯერ შეიცვალა ლიდერი. აფრიკელი ხაფი დიუ ტუას დამიწების შემდეგ სტუმრები 26:23 დაწინაურდნენ და იმედიც მიეცათ, იქნებ ახლა მაინც მოვიგოთო. მატჩის დამთავრებამდე 15-ოდ წუთი რჩებოდა და ყველა დაქანცული იყო...

რეთბოუნმა მატჩის 71-ე წუთზე გაიტანა... სანამ ბურთს დაამიწებდა, ყოფილ თანამემამულეებთან ჯავგურში ჩათვლის მოედნის წინ დაეცა და სახმრეთაფრიკელებს იმედის ნაპერწკალი გაუჩნდათ, იქნება ლელო არ ჩაითვალოსო. ვიდეორეფერი კარგა ხანს ატრიალებდა ამ მომენტს და ბოლოს ლელო ჩათვალა, რომელიც ურთულესი პოზიციიდან გარდასახა შეცვლაზე შემოსულმა მეტიუ ბერკმა (ავსტრალიის ძირითადი დამრტყმელი მეტ ჟიტუც და მისი აფრიკელი ოპონენტი პერსი მონტგომერიც აცაბაცა ურტყამდნენ გარდასახვებს). „ვოლაბები“ კი ამ ლელო-გარდასახვის შემდეგ ოთხი ქულით დაწინაურდნენ და აფრიკელებსაც ისღა დარჩენოდათ, ლელოსთვის დაეხოცათ თავები. დარჩენილ დროში ბევრი იჯავგურეს, საჯარიმოს დარტყმის უფლებაც მოიპოვეს, მაგრამ თავისთავად გაათამაშეს ბურთი, თუმც რეალურად ვერ დააფრთხეს მასპინძელთა დაცვა.

ამ მარცხებით აფრიკელები, თავისთავად არ შექმნიან ტრაგედიას, მით უმეტეს, ორივე დარჩენილ თამაშს მასპინძლობენ, მაგრამ სამი ერის თასის მოგების შანსები გვარიანად უმცირდებათ.

ოხ, ეს რეთბოუნი...

კოტე ყორშია

სატურნირო ვითარება

ახალი ზელანდია	2	2	0	0	39	28	8
ავსტრალია	2	1	0	1	37	42	5
სამხრეთ აფრიკა	2	0	0	2	42	53	2

ავსტრალიას მომატებული აქვს 1 პრემიალური ქულა ერთ თამაშში 4 ლელოს გატანისთვის; ხოლო სამხრეთ აფრიკას 2 ქულა ორი თამაშის 7 ქულაზე ნაკლებით წაგებისთვის

3 ერის ჯალენდარი

17 ივლისი. ველინგტონი

ახალი ზელანდია 16:7 ავსტრალია

24 ივლისი. კრაისტჩერჩი

ახალი ზელანდია 23:21 სამხრეთ აფრიკა

31 ივლისი. პერთი

ავსტრალია 30:26 სამხრეთ აფრიკა

7 აგვისტო. სიდნეი

ავსტრალია — ახალი ზელანდია

14 აგვისტო. იოჰანესბურგი

სამხრეთ აფრიკა — ახალი ზელანდია

21 აგვისტო. დურბანი

სამხრეთ აფრიკა — ავსტრალია





ასიანთა კლუბში ჯორჯ გრეგანს მიესალმებიან ჯეისონ ლეონარდი, ფილიპ სელა და დევიდ ქემფიზი

ასიანთა კლუბში მატებაა. ინგლისელ ჯეისონ ლეონარდს, ფრანგ ფილიპ სელასა და ავსტრალიელ დევიდ ქემფიზს ავსტრალიის მოქმედი კაპიტანი ჯორჯ გრეგანიც შეუერთდა, ვისთვისაც ამ შაბათს სამხრეთაფრიკელ „ქურციკებთან“ ჯახი მე-100 გამოდგა.

„ვცდილობდი, ამ თამაშსთვის ისე განვწყობილიყავი, როგორც რიგითი შეხვედრისთვის, მაგრამ ეს ცოტა ძნელი გამოდგა, რაკი უამრავი წერილი და მესიჯი მივიღე და ყველა მახსენებდა, რომ ეს განსაკუთრებული მატჩი იყო“ — ამბობს გრეგანი.

ასიანთა კლუბში უახლოეს მომავალში არავის ელოდებიან. ამ თამასასთან სადღეისოდ ყველაზე ახლოსაა ფრანგთა გიგანტი მორკინალი ფაბიენ პელუ, ვისაც მამლიანი მაისურა 93-ჯერ მოურგია და 100 კეპს სავარაუდოდ მომავალ წელს უწევს, თუ რა თქმა უნდა, მანამდე რაგბის და ტრიბუნებს ხელი არ დაუქნია.

რაგბის ასიანთა კლუბი

ჯეისონ ლეონარდი (ინგლისი)	114
ფილიპ სელა (საფრანგეთი)	111
დევიდ ქემფიზი (ავსტრალია)	101
ჯორჯ გრეგანი (ავსტრალია)	100

დევი დანის ქვეშ

ოდესღაც მეტოქე მცველთა მტანჯველმა, შემდეგ კი თირკმლის დაავადებით დატანჯულმა ჯონა ლომუმ წინა კვირას ოკლენდში თირკმელი გადაინერგა. ახალი ზელანდიის ყოფილი გარემარბი არ ამხელს, ვინაა დონორი, მხოლოდ იმას ამბობს, თირკმელი მეგობარმა მომცაო.

დაუბრუნდება თუ არა რაგბის 29 წლის მოზვერა მოიერიშე, ამას გადაჭრით ვერავინ ამბობს, თუმცა ლომუ უკვე გაეწერა საავადმყოფოდან და ახლა სახლშია. ექიმები იმასაც ვერ ამბობენ, წარმატებით ჩაიარა გადანერგვამ თუ არა — რამდენიმე კვირა უნდა მოვიცადოთო. ისე კი, 63 სანაკრებო მატჩში 37 ლელოს გამტან ლომუს „შავი“ მაისურა 2002 წლის ნოემბრის შემდეგ აღარ მოურგია.



REUTERS ლუისვილიდან

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲒᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲯᲝᲙᲔᲠᲛᲐ ᲢᲐᲘᲡᲝᲜᲘ ᲓᲐᲡᲪᲐ ᲛᲒᲝᲜᲘ ᲡᲐᲑᲝᲚᲝᲝᲓ

REUTERS ლუისვილიდან

უსახელო ინგლისელმა დენი უილიამსმა ტაისონის წაქცევით დიდი ბრძოლებისკენ გაიკვალა გზა

ᲚᲣᲘᲡᲕᲘᲚᲨᲘ პირწმინდად გაილახა 38 წლის მაიკ ტაისონი. კარიერაში მეხუთედ, ცხოვრებაში კი მგონი უკანასკნელად, რახან კრივის მცოდნეთა აზრით, ამგვარი წახდენა ერთ დროს რკინის მაიკის კარიერის დასრულების ნიშანია.

მაიკის მჯობნი ამჯერად გამოდგა 31 წლის ინგლისელი დენი უილიამსი, რომელსაც პრომოუტერი ფრენკ უორენი უკვე საბჭოს ქაჯრისაკენ ექაჩება, ვიტალი კლიჩკოსთან უნდა ვაჩხუბოო.

უილიამსმა მეოთხე რაუნდში დასცა ტაისონი, რომელიც პირდაპირ დარტყმათა ჩხუბში შევიდა მეტოქესთან და როგორც გაირკვა, ეს საქმე მისთვის წამგებიანი გამოდგა. უფრო ადრე, უილიამსმა გაუძლო ტაისონის საშინელ დარტყმებს, მერე კი თავად შეუტია და ამის საპასუხოდ მაიკმა ვერაფერი მოიგონა.

ტაისონი წაიქცა მეოთხე რაუნდის მიწურულს და როგორც ამბობენ, წაიქცა სამუდამოდ.

ზოგადად, უილიამსი ჩამოწერილ ვინმედ ითვლება მსოფლიო კრივში და ამ ბრძოლაშიაც 9-1-ზე ანდერდოგი იყო, თუმცა, ახლა მთელი მსოფლიოს გასაგონად აცხადებს, რომ გამარჯვებაში დარწმუნებული იყო, „ვამბობდი, მეხუთე რაუნდიდან ნოკაუტს ელოდეთ-თქო, მაგრამ უფრო ადრე გამოვიდა“, — ხარობს ბრიტი.

თუმცა თავიდან საქმე ასე არ იყო: გამხსნელ რაუნდში ტაისონმა ოთხდარტყმიანი კომბინაციით კინაღამ დაამთავრა ბრძოლა, მაგრამ ლონდონელმა ღირსეულად დაიჭირა თავი და ორი ცაცია აპერკოტსაც გაუძლო. მეორე რაუნდში უილიამსმა თავადაც მოარტყა ცაცია ტაისონს, თუმცა, მესამეში ორი ქულა ჩამოაკლეს: რეფერი დენის ალფრედმა ქამარსქვეშა დარტყმაც დაუდგინა და კლინჩში ტაისონისთვის სისხლიანი ტრავმის მიყენებაც. ამან უილიამსი არ გააჩერა მან სამი მაგარი მოარტყა ტაისონს, რომელმაც საქმის მოწესრიგება სცადა, თუმცა, მთელს მეოთხე რაუნდში სხვადასხვა ხარისხის 26 დარტყმა მიიღო და თავად ერთიც ვერ მოარგო მეტოქეს. ფიცარნაგიდან წამომდგარმა ტაისონმა უსიტყვოდ დატოვა რინგი, მისმა მწვრთნელმა ფრედი როუჩმა კი თქვა, რომ ამგვარი კრივი მღელვარე საქერია, მაგრამ მან მაიკს წარმატება ვერ მოუტანა. საზოგადოდ კი, ტაისონის ბანაკი ამ წაგებას მუხლის ტკივილს აბრალებს. ტაისონს პირველსავე რაუნდში უხერხულად გაუტკაცუნდა მარცხენა მუხლის სახსარი და მერე, მთელი ბრძოლის განმავლობაში ხშირად ივლებდა ხელს მუხლზე. „ამიტომაც, პირველი რაუნდის შემდეგ მაიკს მარჯვენა არც მოუქნევია, რადგან მარცხენა ფეხს ველარ ატანდა ძალას“, თქვა მისმა მენეჯერმა შელი ფინკელმა, „თუმცა, უილიამსმა მაინც კარგად იჩხუბა.“

მუხლზე მყესგაჭიმული ტაისონი კი წაგებულია, იმის მიუხედავად, რომ ზოგიერთი ამერიკული გაზეთი მის სახელსაც კი არ უწოდებდა და „ჯოკერად“ მოიხსენიებდა, ბრიტმა მხოლოდ 200 ათას დოლარამდე ფული აიღო ამ ბრძოლაში და თანხის მეოთხედი პრომოუტერ უორენს გადაუღოცა, თუმცა, თუ საქმე კარგად აეწყო, შემდეგ ბრძოლაში ბარე ხუთ მილიონს და მეტსაც მიიღებს.

და ტაისონს რაღა? ახლა ამბობენ მაიკი K-1-ის იაპონურ ჩხუბში გადავა და იქ დაიწყებს ხელფეხის ქნევასო. 17-თვიანი უქმობის შემდეგ მაიკმა უცნობ და უქონელ ლონდონელთან წააგო. ტაისონის ბანაკს გეგმად ჰქონდა 7-ბრძოლიანი სერია, რომლის პირველსავე კრივში ასეთი ფარსაგი საქმე მოუვიდა. ამ შვიდ ბრძოლაში მაიკს 22 მილიონი დოლარი უნდა აეღო, რითაც თავის უთავბოლო ვალებს დაფარავდა. ახლა კი რა? ირკვევა, რომ კაცი, რომელმაც ათობით მილიონი გააკეთა რინგზე, იწოდებოდა ოქროს ჩამომსხმელ დაზგად, იყო მძიმე წონის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა ჩემპიონი, არცთუ მდიდარია. თუმცა, ჯერ სიმდიდრე, მერე კი სიღარიბე საკრივო ტრადიციის ნაწილია და მაიკამდეც, არაერთ დიდ ჩემპიონს დამართნია ასე.

ᲐᲚᲒᲔᲠᲢ ᲮᲐᲩᲐᲢᲣᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲘ

ᲓᲝᲠᲢᲛᲣᲜᲓᲘᲡ ᲡᲣᲞᲔᲠᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘ

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ. დორტმუნდი. 22 ივლისი — 1 აგვისტო

ᲤᲘᲜᲐᲚᲘ

ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) — ვლადიმირ კრამნიკი (რუსეთი) 0,5:0,5.

III ᲐᲓᲒᲘᲚᲘ

პეტერ ლეკო (უნგრეთი) — პეტერ სვიდლერი (რუსეთი) 0,5:0,5

V ᲐᲓᲒᲘᲚᲘ

არკადი ნაიდიჩი (გერმანია) — სერგეი რუბლიოვსკი (რუსეთი) 1:0

VII ᲐᲓᲒᲘᲚᲘ

ვიორელ ბოლოგანი (მოლდავეთი) — სერგეი კარიაკინი (უკრაინა) 0,5:0,5

ᲓᲝᲠᲢᲛᲣᲜᲓᲘᲡ სუპერტურნირს დიდებული მოჭადრაკეები არასოდეს აკლდა და შესაბამისად მისდამი ინტერესიც დიდი იყო, წლეულს კი რაღაც-რაღაცეები შეიცვალა, გათამაშება სხვა ფორმატით ჩატარდა და გამარჯვებულის გამოსავლენად ფინალი გათამაშდა. ჯერჯერობით უცნობია, ამ რეფორმამ რა შემატა სუპერტურნირს, თუმც ეს ფინალი რომ მსოფლიოს ჩემპიონატს არ ჩამოუვარდება, ფაქტია.

ინდუსი ვიშვანათან ანანდი მსოფლიოს ჩემპიონია სწრაფ ჭადრაკში და ფიდე-ს რეიტინგში მე-2 ნომერია, ვლადიმირ კრამნიკი კი კლასიკური ვერსიით პლანეტის უძლიერესი მოჭადრაკეა და რეიტინგსიაში მე-3 პოზიციაზეა.

საფინალო შეხლის პირველ მატჩში დიდოსტატებმა შავ-თეთრი კვადრატებით მოხატულ დაფასთან ხუთი საათი იჯახირეს, 60 სვლა გააკეთეს და ყაიმით დაშორება არჩიეს. მეტოქეებმა ესპანური პარტია გაითამაშეს და თითქმის მთელი მატჩის განმავლობაში უპირატესობას თეთრებით მოთამაშე ანანდი ფლობდა. ინდოელი ვეფხვი ხშირ-ხშირად უტევდა შავების ფლანგებს, თუმც ამით კრამნიკი არ შეშინებულა, დაცვა გააძლიერა, მეტოქეს ჩანაფიქრის განხორციელების საშუალება არ მისცა და საბოლოოდ მშვიდობით გაუშვა.

„ქვედა“ ადგილებისთვის ბრძოლაში კი კვლავ ყოჩაღობს მასპინძელი არკადი ნაიდიჩი. ბოლოსწინა ტურის ოთხი ჩატარებული პარტიიდან სამი ყაიმით დასრულდა და იმ ერთადერთშიც ალემანმა იმარჯვა.

ᲚᲐᲛᲐ ᲒᲔᲒᲔᲭᲙᲝᲠᲘ

ᲡᲬᲠᲐᲤᲛᲐ ᲓᲐ ᲙᲚᲐᲡᲘᲙᲝᲡᲛᲐ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲐ ᲐᲠᲩᲘᲔᲡ



ანანდმა და კრამნიკმა ესპანური პარტია მე-60 სვლაზე დაასრულეს



ვიშვანათან ანანდი და ვლადიმირ კრამნიკი

დააოკეთ ეს ქალი!

დევენპორტმა პორტმანი გახსნა

მასტერსის სერია
ტორონტო. ჰარდი
საპრიზო 2,564 მილიონი $

მეოთხედფინალი

როჯერ ფედერერი (1, შვეიცარია) — **ფაბრის სანტორო** (საფრანგეთი) **7:5, 6:4; ენდი როდიკი** (2, აშშ) — **იან ჰერნიხი** (ჩეხეთი) **6:4, 6:2; ტომას იოჰანსონი** (შვედეთი) — **იოახიმ იოჰანსონი** (შვედეთი) **6:3, 7:6 (7:5); ნიკოლას კიფერი** (გერმანია) — **იურგენ მელცერი** (ავსტრია) **1:6, 6:3, 6:3**.

ნახევარფინალი

ფედერერი — **იოჰანსონი 4:6, 6:3, 6:2; როდიკი** — **კიფერი 7:5, 6:3**



REUTERS სან დიეგოდან

ლინდსი დევენპორტს ვერაქალი უმკლავდება

როგორც მოსალოდნელი იყო და როგორც გვინდოდა კიდეც, ტორონტოული მასტერსობის ფინალში ბედმა და მათმა სიჩაუქემ ამქრის პირველოსანი როჯერ ფედერერი და შარშანდელი ჩემპიონი ენდი როდიკი შეჰყარა.

საამმონტოდ, როცა ხუან კარლოს ფერერო, გილერმო კორია, მარატ საფინი და „ჩამავალი“ ანდრე აგასი ამა თუ იმ მიზეზის გამო ვერ მძლავრობენ, 23 წლის შვეიცარიელი და მასზე წლით უმცროსი იანკი ჭეშმარიტად შეუდარებელნი არიან. ამაზე მრავალი რამ მეტყველებს, ყველაზე უწინარეს კი ის, რომ ორივე რეიტინგსიის უპირველესი საფეხურები ახლა სწორედ ამათ უპყრიათ. თანაც, პირველი ორივეგან როჯერია, მეორე კი — ორივეგან ენდიბოი.

გარდა ამისა: ფედერერმა ზედიზედ უკვე 22 მატჩი მოიგო, რაიც ბოლო 30 მატჩიდან იმავდროულად 29-ე გამარჯვებაც გახლავთ, როდიკმა კი ბოლო 22 შეხვედრაში უკვე 21 მოიგო და ის ერთი მარცხიც — უიმბლდონობის ფინალში — სწორედ როჯერისგან იწვნია.

ფედერერს წლეულს შვიდი ფინალი აქვს ნათამაშები და შვიდიდან ბადალი არ ჰყავდა. ხოლო, თუკი გუშღამ ენდისაც სძლევდა, ტომას მუსტერის შემდეგ ერთ სეზონში რვა ტიტულის მიმთვლელი პირველი მეჩოგნე შეიქნებოდა. ჯომარდმა ავსტრიელმა — ვინძლო, არც თქვენ დაგვიწყებიათ — 1995 წელს ერთბაშად 12 (!) ტურნირი დააწიოკა.

წლეულს მორეწილი ტიტულებიდან ორი შვეიცარიელმა დიდი მუზარადის ტურნირებზე, ავსტრალიის ღია პირველობასა და უიმბლდონზე იშოვა, ხოლო ორიც — ინდიანუელსურსა და ჰამბურგულ მასტერსობებზე. სულ კი მას გუშინდლამდე 59 მატჩი დაუგროვდა, საიდანაც მეტოქეებს მხოლოდ ოთხი დაუთმო.

ენდიბოის საამსეზონო მონაგარი ნაკლებ შთამბეჭდავია, თუმცა ურიგო არც მას ეთქმის. ამ სეზონში ნათამაშები 62 მატჩიდან ამერიკელმა 53 მოიგო, ტურნირებიდან კი ოთხგან იპირველა — აქედან ყველაზე პრესტიჟული მაიამური მასტერსობა იყო.

ერთმანეთს ისინი შვიდჯერ დასტაკებიან და ფედერერის უპირატესობა ჯერ-ჯერობით დათმრგუნველია — 6:1. ის ერთადერთი გამარჯვება კი ენდიბოიმ შარშან სწორედ კანადურ მასტერსობაზე მოიხვეჭა, ოღონდ მაშინ საქმე მონრეალში ხდებოდა და ისიც არა ფინალში, არამედ — ფინალამდე ერთი ეტაპით ადრე. სხვათა შორის, იმ გამარჯვების შემდეგ როდიკმა საბოლოოდ ირწმუნა საკუთარი ძალმოსილება და ბრწყინვალე ზაფხული ამერიკის ღია პირველობის მოგებითაც მოიგვირისტა.

ACURA CLASSIC
სან დიეგო. ჰარდი
საპრიზო 1,3 მილიონი $

მეოთხედფინალი

ვერა ზვონარიოვა (12, რუსეთი) — **სერენა უილიამსი** (1, აშშ) *სერენას არ უთამაშია*; **ანასტასია მისკინა** (3, რუსეთი) — **მარია შარაპოვა** (6, რუსეთი) **7:5, 6:2; ლინდსი დევენპორტი** (4, აშშ) — **აი სუგიამა** (იაპონია) **6:1, 6:3; ელენა დემენტიევა** (5, რუსეთი) — **ემი ფრეზერი** (აშშ) **6:2, 6:1**

ნახევარფინალი

მისკინა — **ზვონარიოვა 6:2, 6:7 (4:7), 7:6 (17:15); დევენპორტი** — **დემენტიევა 6:2, 6:4**

მეოთხედფინალში გასული ოთხი რუსგოგოდან სამმა მერე ნახევარფინალსაც უწია, თუმცა შიდარუსული ფინალისგან თავის ზედიზედ მესამე კალიფორნიულ ტიტულზე მოჩალიჩე ლინდსი დევენპორტმა გადაგვარჩინა.

თავის 77-ე საკარიერო და მე-20 სამშობლიურშტატო ფინალში გასასვლელად ლინდსის იმ დღეს საათისა და 27 წუთის განმავლობაში მოუხდა გარჯა. მეორე სეტის ბოლოსკენ მან ნაოპერაციევი მუხლი იტკინა, მაგრამ იმ მომენტისთვის დემენტიევაც უკვე შეგუებული იყო მარცხის და საბედნიეროდ, არც ტრავმა გამოდგა ისეთი სახიფათო, დავთრები რომ აერია.

არადა, ამ დავთრებში, იცოცხლეთ, კარგი ამბები სწერია. 6 წლის წინ, როცა ლინდსი ჯერაც 22 წლის იყო, მან სამივე კალიფორნიული ტურნირის — სტენფორდულის, ლოსანჯელესულის და სანდიეგოურის — მოგება შეძლო. და ამიტ ისე გაილაღა, რომ მოგვიანებით ვერც აშშ-ის ღია პირველობაზე გააჩერეს.

წლეულს კი სახელოვანმა მეჩოგნემ პენსიაზე გასვლა გადაწყვიტა და ამის გამო ისე თავისუფლად ბურთაობს, რომ წინა ორ კვირაში უილიამსდებს რომ გადაურბინა, გუშინდლამდე ვერც რუსგოგოებმა დააოკეს.

გუშგვიანდამ მისთვის ჩოგნის შებრუნებას ეცდებოდა რუსული დივიზიის დეკეული ანასტასია მისკინა, ვისაც მასთან თითქმის ორი წელია, აღარ უთამაშია, ხოლო ამ ორი წლის წინ ორჯერ შეხვდა და ორჯერვე დამარცხდა.

თუმცა მაშინდელი და ახლანდელი მისკინა ეს ორი სრულიად სხვა ოდენობაა და ამაში ამ სანდიეგობამაც დაგვარწმუნა, რომლის დროსაც — სხვა ყველა კარგად იყოს — ტასიამ უიმბლდონის 17 წლის დედოფალი მაშა შარაპოვაც კი გატყიპა. (სხვათა შორის, ეს მათი მესამე დაპირისპირება გახლდათ და წლევანდელი როლანგაროსობის ჩემპიონი წანწკლა მაშას უკვე 3:0 უგებს). შარაპოვაზე დიდი პრობლემები კი მისკინას ნახევარფინალში მეორე თვისტომმა — ვერა ზვონარიოვამ შეუქმნა.

ზვონარიოვა მეოთხედფინალში თითქოს სერენა უილიამსის მსხვერპლი უნდა გამხდარიყო. მაგრამ თავის პირველ სანდიეგობაზე მოჩოგნავე უმცროსმა უილიამსდამ წინა დღეს მეორე რუს, ბოვინასთან ბუქნაობისას მარცხენა მუხლი იტკინა და, რაკიღა ტკივილმა მომდევნო მატჩამდე არ გაუარა, დასვენება არჩია. ამით შეგულიანებულმა ვერამ მისკინას უმძაფრესი ომი გაუჩაღა და მხოლოდ მას შემდეგ დანებდა, რაც რომ 9(!) მატჩბურთი ვერ გამოიყენა. ამ ცხრიდან ერთი ზვონარიოვას გადამწყვეტი სეტში, 5:4-ზე ჰქონდა, ხოლო რვაც — წლის სარეკორდოდ გრძელ ტაიბრეიკზე.

ლევან კელაურაძე



REUTERS სან დიეგოდან

ანასტასია მისკინა

ქართული სპორტის ფოტო ისტორია

ასე ჰქვია საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის ახალ პროექტს, რომელიც ხორციელდება თბილისის მერიის კულტურისა და სპორტის სამსახურის მხარდაჭერით.

შეირჩევა, დამუშავდება, აღიწერება და ვებსაიტზე განთავსდება 5 ათასზე მეტი ისტორიული და მხატვრული ღირებულების ფოტო.

სათანამშრომლოდ ვიწვევთ ფოტორეპორტიორებს, კერძო კოლექციის მფლობელებს, ძველი და ახალი თაობის სპორტსმენებს, მწვრთნელებს, სპორტის გულშემატკივრებს.

გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენს ხელთ არსებული ფოტომასალა და მონაწილეობა მიიღოთ ქართული სპორტის ასწლოვანი ისტორიის ფოტოარქივის შექმნაში.

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია.
თბილისი, რუსთაველის 42, ტელეფონები: 99 08 22, 99 94 09, 899 90 26 32.

ოქროც, ვერცხლიც ბულგარული, გემრიელი

გუშინ ვარნაში დასრულდა ევროპის ჩემპიონატი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ჭაბუკებს შორის. საქართველოს ნაკრები ბულგარეთში მთავარ მწვრთნელ ვაჟა კრავეიშვილის ხელმძღვანელობით სრული შემადგენლობით ჩავიდა და შინ ორი მედლით ბრუნდება.

ორივე მედალი ჩემპიონატის ბოლო დღეს მოვიპოვეთ. ბორჯომელმა რეზო ლაშხმა (54კგ) და თბილისელმა ლადო გეგეშიძემ (84კგ) ფინალში იჭიდავეს. ლაშხმა გადამწყვეტი ბრძოლის მოგება ვეღარ შეძლო. გეგეშიძემ კი იქაც იმარჯვა და ჭაბუკურ-ევროპულ ოქროს ზედიზედ მეორედ დაეუფლა.



REUTERS შანხაიდან

ქუჩის კულტურა

პირველადაა, რომ ჩინეთის ძველ დედაქალაქ შიანში ქუჩის კულტურის ფესტივალი ტარდება. ამერიკული ცალფარა კალათბურთის ფარი ზედ უძველესი ზარების კოშკთან გაუმართავთ და მოსეირეც ბლომად მისულა.



REUTERS ვაშინგტონიდან

საზაფხულო შოუ

ვაშინგტონში, რობერტ კენედის სახელობის სტადიონზე საფეხბურთო შოუ გაიმართა. ხალხი მეჩხერად იყო, მაგრამ ვეტერანთა პირობაზე გვარიანი თამაში გამოვიდა. ერთმანეთს მსოფლიოსა და მეიჯორ ლიგის „ლეგენდები“ შეხვდნენ, თუმცა მსოფლიოს სახელისა ამ ხალხში უფრო კარლოს ვალდერამა იყო. თამაში ფრედ, 2:2 დასრულდა.

მამის გასახსენებლად

აი, მოტონახტომი: ამერიკულ სამხედრო თვითმფრინავებს ერთი ავარდნით გადააფრინდა რობი ნიველი. კასკადიორ რობი ნიველს მიზნად ჰქონია, რომ ამ ნახტომით ხალხისთვის გაეხსენებინა მამამისი, განთქმული კასკადიორი ივილ ნიველი, რომლის შესახებაც ახლახან ფილმი გამოვიდა.

ახალი ძველი



REUTERS ბერლინიდან

აი, როგორია ბერლინის განახლებული ოლიმპიური სტადიონი ოთხწლიანი რეკონსტრუქციის შემდეგ, რომელიც ორი წლის თავზე მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის ფინალს უმასპინძლებს. განახლებული სტადიონის გახსნა მეტად ლამაზი წარმოდგენით აღინიშნა.

REUTERS ლეიკ ბუენა ვისტადან

იესპიენის უძმეები

ახლა სწორედ რომ საფლორიდო ამინდია და ტელესისტემა „იესპიენი“ სწორედაც რომ იქ, ლეიკ ბუანო ვისტაში ზეიმობს თავის 25 წლისთავს. უიქენდზე დაპატიჟებულია 60 განთქმული სპორტსმენი, მათ შორის ამერიკული ბურთაობის ძველი ვარსკვლავი ჯო ნემეტი. დისნეის სტუდიებთან ჩავლისას ვარსკვლავებს დისნეისავე გმირები მიაცილებენ. ამ შემთხვევაში მასპინძელი გუფია.

სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი, ირმა ჯიშკარიანი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge